140
1966/2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1966





როგორც ცნობილია, მოძმე უზბეკეთის დედაქალაქს—ტაშკენტს დიდი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს: მიწისძვრამ საგრძნობლად დააზიანა ქალაქი. მოქალაქეებს, მათ შორის—პატარებს, არ მოჰკლებიათ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ყურადღება.

ამასწინათ, ტაშკენტელ ბავშვთა დიდ ჯგუფს, რომლებიც საქართველოს პიონერთა ბანაკებში გაატარებენ ზაფხულის თვეებს, ყვავილებითა და სიმღერებით შეეგებნენ თბილისელი პიონერები.

გულღიად მიიღეს მასპინძლებმა ტაშკენტელი ნორჩები, აეროდრომზევე გაუმასპინძლდნენ, იქვე მოასწრეს მათთან დამეგობრება.

ტაშკენტელი ბავშვების ეს ჯგუფი იმ დღესვე სურამის პიონერთა ბანაკისაკენ გაემართა.

აქ მოთავსებულ ფოტოებზე ასახულია ტაშკენტელ და თბილისელ პიონერთა შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდი.

# კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!



# ზაზა სიტყვის ვაჟია

10036.

იმ დღეს ზაზამ უკანასკნელი გამოცდა ჩააბარა, სულ ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა შინ და დედას ახარა:

— მომილოცე, დედი, დღესაც ხუთიანი მივიღე, უკვე მეექვსე კლასის მოსწავლე ვარ!

დედამ გულში ჩაიკრა პირმშო.

ცოტახნის შემდეგ მამამ ქვიშხეთის პიონერთა ბანაკის საგზური მოუტანა ზაზას.

ქვიშხეთი...

მაშინ იგი პირველად იყო პიონერთა ბანაკში.

... ახლაც თვალწინ დაუდგა იქ გატარებული დღეები. პირველად ვერ შეეგუა ამხანაგებს, ბანაკის რეჟიმს ..

მერე, ბორის მასწავლებელმა დაიბარა, ყოჩაღი ბიჭი ჩანხარო,—უთხრა, — ძერწვა გცოდნია, ჩვენთან ძერწვის წრე ყალიბდება და უნდა დაგვეხმარო, წრეს უნდა უხელმძღვანელოო.

მერე, მეზობელი ბანაკის პიონერებთან შეხვედრა გაახსენდა, - შეჯიბრი სპორტულ თამაშობებში, კარნავალი... ექსკურსია ბორჯომში...

მოგონებებში გაირბინა დღემ.

საღამოს კი... ზაზა ქინქლაძეს მატარებელი ფოთიდან ქვიშხეთისაკენ მიაქროლებდა.

გათენდა. ზაზა მატარებლის ფანჯარას აეკრა. თვალს ვერ აცილებდა ქართლის ველებს, ამომავალ მზის სხივებზე ასე მომხიბვლელად რომ ციმციმებდნენ და ათასნაირ ფერებს ქმნიდნენ... აგერ, საქართველოს დედა-მდინარე, გრანდიოზულ კლდეღორესთან ბრძოლით დაღლილი, ახლა დადინჯებული ჩუმად რომ მოედინება.

და აი, ზაზა ისევ კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კავშირის ქვიშხეთის ბანაკშია.

სიხარულით შეეგებნენ ძველი მეგობრები — თბილისელი მარინე ამაღლობელი, მაიაკოვსკელი ლიანა ზირაქაძე, ქუთაისელი დარეჯან უკლება...

თვალის დახამხამებაში შემოირბინა ზაზამ ბანაკის ეზო, აქ, ხომ მისთვის ნაცნობი და საყვარელია თითოეული ხე და ბუჩქი.

და დაიწყო ბანაკის მჩქეფარე ცხოვრება...

ერთ დღეს ზაზამ პიონერთა ოთახში შეიარა. ინტერესით დაათვალიერა კედლებზე გაკრული დიაგრამები და სტენდები, ბანაკის ცხოვრების ამსახველი სურათები. მერე კედლის გაზეთის გაფორმებაში წაეხმარა ამხანაგებს.

ამ დროს ოთახში უფროსი პიონერხელმძღვანელი ბორის ქღერიაც შემოვიდა.

ბორისმა ზაზა თავისთან მიიხმო.

— ზაზა, ჩვენ ამ დღეებში შეხვედრა უნდა მოვუწყოთ ტაშისკარელ მოწინავე მევენახეს ივანე ხაჩიძეს. შენ მხატვრული კითხვა გეხერხება, ლექსებსაც სწერ, შეარჩიე სხვა ამხანაგებიც და მოამზადე ამ შეხვედრისათვის.

— კარგი, პატივცემულო ხელმძღვანელო.

კარგა ხანს ემზადებოდნენ ბავშვები ცნობილ მევენახესთან შესახვედრად.

საზეიმო შეხვედრაზე პირველი სიტყვა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს მარინე ამაღლობელს მისცეს.

— ჩვენი სტუმარი, — თქვა მარინემ, — ცნობილი მევენახეა. შარშან მან 129,5 ცენტნერი ყურძენი მისცა სამშობლოს. მადლიერმა ხალხმა დაუფასა ამაგი ჩვენს სტუმარს და ახლახან მისი მკერდი შრომის წითელი დროშის ორდენმა დაამშვენა.

პიონერები მიესალმნენ სტუმარს, ახალ-ახალი წარმატებები უსურვეს და ბანაკის საპატიო პიონერად აირჩიეს.

აღელვებულმა ივანე ხაჩიძემ მადლობა გადაუხადა ბავშვებს, და ისინი თავის ნაკვეთში მიიწვია.

დიდხანს გაგრძელდა ამ საზეიმო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. გაჩაღდა ცეკვა-თამაში. რუსთავის მე-15 სკოლის მე-3 კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ თამრიკო აბაიშვილმა მშვენივრად იცეკვა. მუხუთელმა მე-5 კლასელმა თინათინ იმნაიშვილმა და ზაზა ქინქლაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს. კონცერტი დასრულდა პიონერული მარშით, რომელიც მთელმა ბანაკმა იმღერა.

გვიან ღამით გააცილეს პიონერებმა საპატიო სტუმარი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვები ივანე ხაჩიძის ნაკვეთისაკენ გაემგზავრნენ...

გზად ბიჭების ერთმა ჯგუფმა ფეხი აითრია, შეჩერდნენ, გაცხარებით კამათობდნენ.

— ხომ ხედავ, მოედანი უსწორმასწოროა, ქვები და კენჭები ყრია. გუშინ რომანმა კინაღამ ფეხი მოიტეხა, — ჰყვებოდა სოსო.

— ჰოდა, მერაბ, — ჩაერია საუბარში რომანი, — კაცმა რომ თქვას. ნაკვეთში ისედაც ბევრნი მიდიან, ჩვენ დავრჩეთ და სტადიონზე წავიმუშაოთ. ხომ იცი, მალე მეზობელი ბანაკის პიონერებ!. უნდა შევეჯიბროთ და... როდისღა უნდა მოვემზადოთ?

— არა, არა! არ გახსოვს, ხელმძ-




რესპუბლიკური ბიბლიოთეკა




**თბილისის 57-ე სკოლის მეხუთეკლასელი ირაკლი ჩხეიძე სპეციალური სტენდის „ჟიბის“ საშუალებით თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს ტოლ-ამხანაგებს.**

პატარებიდან ყველას მაინც თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლემ, ცეროდენა ნარა ზიბზიბაძემ აჯობა. მის მიერ პლასტილინისაგან გამოძერწილი „დათუნა იპარავს ვაშლებს“, მართლაც რომ სანიმუშო იყო, და აკი კონკურსშიც გაიმარჯვა.

კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს ბავშვებმა. მოეწყო ექსკურსია ბორჯომში. საბაგირო გზით ავიდნენ პლატოზე, დაათვალიერეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ჩაატარეს მეგობრობის საღამო, თვითმოქმედების დილა-საღამოები. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ბულბულას ციხის დალაშქვრა იყო.

... დილით ადრე გაემგზავრნენ ბავშვები ბულბულას ციხისაკენ. მოიქანცნენ ტყე-ღრეში სიარულით, გოგონები სულს ძლივს ითქვამდნენ ზურგზე წამოკიდებული ჩანთის სიმძიმისაგან. ბიჭები ეხმარებოდნენ ტვირთის ტარებაში.

როგორც იქნა ააღწიეს ბულბულას ციხემდე. აქედან ხელისგულივით გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული ქვიშხეთისა და ტაშისკარის შემოგარენი. დაისვენეს, დანაყრდნენ და ცეკვა-თამაშიც გააჩაღეს.

ამასობაში დაღამდა.

გამართეს კარვები. პიონერული კოცონი აანთეს. უცებ შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ბავშვები კარვებში მოეწყვნენ და, რომ არ მოსწყენოდათ, რიგრიგობით ჰყვებოდნენ ამბებს.

— იცით, ბავშვებო, რატომ ჰქვია ამ ციხეს ბულბულას ციხე? — იკითხა მარინე ამაღლობელმა.

— არა. შენ იცი?

— წელან იმ გლეხმა მიამბო, ფიჩხის წაღებაში რომ ვშველოდი. ბულ-

ღვანელმა რომ გაგვაფრთხილა, არავინ დააკლდეთო? რას იტყვის...

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს, — გაჯიუტდა რომანი.

— არა, წავიდეთ, ხელმძღვანელს შევატყობინოთ ჩვენი განზრახვა, ის უარს არ გვეტყვის, ჯერ ნაკვეთი დავათვალიეროთ, შემდეგ გამოვიაროთ და მოედანზე წავიმუშაოთ, — თქვა მერაბ კახნიაშვილმა და წინ წასული ჯგუფისაკენ გასწია.

დანარჩენებმა ცოტა ხანს კიდევ იყოყმანეს და შემდეგ ისინიც ამხანაგებს წამოეწივნენ.

ბავშვებმა ინტერესით დაათვალიერეს ნაკვეთი, დამწკრივებული ახალი ნამყენებიც მოინახულეს. აქ ყველაფერს აჩნდა გამრჯე კაცის მარჯვენა... საღამოს კი ბიჭები, მერაბის ხელმძღვანელობით, სოფლის სტადიონისაკენ გაეშურნენ.

მუყაითად მუშაობდნენ ბიჭები სტადიონის კეთილმოწყობისათვის. მოასწორეს სათამაშო მოედნები, სარბენი ბილიკები და, ვარჯიშსაც შეუდგნენ.

მალე ბანაკში საზეიმოდ გაიხსნა სპორტულ თამაშობათა სპარტაკიადა. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს შაშში, ჭადრაკში, ფრენბურთში, კალათბურთში, ბადმინტონში, ხელბურთში... მერე განათლების მუშაკთა რესპუბლიკური კავშირის ქვიშხეთის ბანაკის ბავშვები გამოიწვიეს შეჯიბრებაში. რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საინტერესო სანახაობანი. მრავალი მაყურებელი მიიზიდა ბავშვების სპორტულმა თამაშობებმა...

უფროს ამხანაგებს არც ოქტომბრელები ჩამორჩნენ. მათ ძერწვისა და ქარგვის წრეები შექმნეს და ბანაკის კონკურსშიც მიიღეს მონაწილეობა.





ბულა ამ ციხისათვის დიდი ხნის წინათ დაურქმევიათ. მაშინ თურმე მტრები შემოსევიან ჩვენს ქვეყანას. ქართველები ამ ციხეში ჩაკეტილან. მტერს ვერ მოუხერხებია ციხის აღება და გადაუწყვეტია — წყლის სათავე მოენახა, მოეშალა და ამით დაემორჩილებინა ციხეში მყოფნი.

სოფელში სახედარი მოუნახავთ და წაუყვანიათ. ჩვეულებრივ, სახედარი თურმე იქ ჩერდება, სადაც წყალი არის. ამ გზით ცდილობდნენ წყლის სათავის მიგნებას. ეს ამბავი გაუგია გლეხის ქალს ბულბულას. შეუკრებია ქალები, დარაზმულან, მოკლე ბილიკებით მტრისთვის გზა გადაუჭრიათ, მოულოდნელად თავს დასხმიან და ბრძოლა გაუმართავთ.

მტერს ყურადღება ამ ბრძოლისაკენ გადაუტანია; ამით მეციხოვნეებს უსარგებლიათ, ციხიდან გამოსულან, მოწინააღმდეგეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმიან და დაუმარცხებიათ. ბულბულა ამ ბრძოლაში დაღუპულა.

მადლიერ ხალხს ციხისათვის ბულბულას ციხე უწოდებია.

— კარგი თქმულებაა, თინიკო იწერს კიდეც ალბათ, — თქვა ჩაფიქრებულმა ზაზამ და თინათინ იმნაიშვილს გადახედა.

თინათინი კარვის კუთხეში მიმჯდარიყო, ხელში ფანქარი ეჭირა და რაღაცას წერდა.

მან მორცხვად ჩაილაპარაკა:

— არა, ამ თქმულებას რა დამავიწყებს, მაგრამ... მე სულ სხვა რამეს ვწერ.

— აბა, წაგვიკითხე, — სთხოვა გურამ დავითურმა.

— გთხოვთ, გთხოვთ! — ბანი შეაწიეს სხვებმაც...

თინიკო წამოდგა და წაიკითხა:

...ჩვენს წინ გაშლილა ედემი,
რარიგად ხარობს გულია,
ნეტავი სულ აქ მამყოფა,
არ მომწყინდება სრულიად.

ბავშვებმა ტაში დასცხეს.

მეორე დღეს რუსუდან ჩიტაძემ ამ ლექსის სიტყვებს მუსიკაც შეუწყო და ბავშვები სიმღერით დაბრუნდნენ ბანაკში, დაღლილ-დაქანცულები, მაგრამ მხიარულები და ბედნიერები...

ზაზა ამ ლაშქრობის შემდეგ კარგახანს დადიოდა ჩაფიქრებული. ბოლოს, ბორის ხელმძღვანელს გაუმხილა განზრახვა.

— სახლში რომ დავბრუნდები, მინდა თიხისაგან გამოვძერწო გმირი ქალის — ბულბულას სახე და ჩვენს ბანაკს ვაჩუქო აქ გატარებული დღეების მოსაგონრად.

ზაზა სიტყვის კაცია — რახან სთქვა, გამოძერწავს კიდეც.

**გ. მესხიშვილი.**



ფოტო
**გ. ქიმერიძისა**

ცხოველები, ფრინველები, ხილით სავსე ლარნაკები... რა გნებავთ, რომ ნაირა ზიბზიბაძემ ოსტატურად არ გამოძერწოს პლასტილინისაგან.



უმალ დაუმეგობრდნენ ერთმანეთს სასიქადულო მევენახე ივანე ხაჩიძე და მასპინძლები.



ლიანა ზირაქაძემ, ზაზა ქინქლაძემ, დარეჯან უკლებამ და მარინე ამაღლობელმა შარშან ამავე ბანაკში ერთად გაატარეს ზაფხულის დღეები. და აი, კვლავ შეიყარნენ წელსაც.

თბილისელი იური პაროშინი მეორე თანრიგოსანია ჭადრაკში. იგი ხშირად ატარებს თანატოლებთან ერთდროულ სეანსს რამდენიმე დაფაზე.

# არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანის თავგადასავალი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



გივი ჭიჭინაძე

ხასხასა, დიდი ქალაქის შუშის ქარხანაში გაჩნდა. იგი უბრალო ნახევარლიტრიანი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ძალზე თავნება და ჭირვეული ბიჭი იყო.

ხასხასას გაჩენაში ყველაზე დიდი წვლილი ცეცხლით აგიზგიზებულ ღუმელს მიუძღვოდა. ეს ღუმელი, რომელსაც მუშები პირღია დევკაცს ეძახდნენ, შუაგულ ქარხანაში იდგა. მისკენ შეუჩერებლივ მოემართებოდა სოდის, სულფატის, მარმარილოს, ქვიშის, რკინის ჟანგისა და ქვანახშირის ნარევი. დილიდან დაღამებამდე ბუყბუყებდა პირღია დევკაცი. ლავადქცეულ ნარევს ღუმელთან მდგარი ძია ლინჩა აწესრიგებდა. ძია ლინჩა ჩვეულებრივი მანქანა იყო და ბევრი ლაპარაკი როდი უყვარდა. რკინის ხელით აიტაცებდა ხოლმე ღუმელიდან გამოსულ ლავას და, ცომის გუნდასავით, ნაწილ-ნაწილ წყვეტდა და წყვეტდა. ლავა კუდიანი ვარსკვლავივით გაიელვებდა ჰაერში, მერე კი ზუსტად ნახევარლიტრიანის დამყალიბებელ კალაპოტში ამოჰყოფდა თავს. აქ მას შემოესეოდნენ ირგვლივ თავდაყირა დაკიდებული ბერვია ბიჭები და, — აბა ჰე, აბა ჰოო, — ისმოდა მათი მხიარული ყიჟინა. ხან ერთი ბერავდა და ხან მეორე. მეზურნეებივით ჭშენდნენ და, სულ მალე, კონვეიერზე ანუ მოძრავ გზატკეცილზე გამწკრივებული ნახევარლიტრიანები კოპწია გოგო-ბიჭებივით იწონებდნენ თავს. ისინი სიმღერით მიემართებოდნენ ქარხნის მეორე მხრისაკენ. ძია ლინჩა კი ამ დროს სულ უფრო და უფრო მეტ ლავას ისროდა კალაპოტში. აი, სწორედ ამ ძია ლინჩას აუმხედრდა პირველად ჩვენი ნახევარლიტრიანი. იგი ჯერ მხოლოდ გავარვარებული ლავა იყო და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა უნდა შეექმნათ მისგან. გადმოვიდა თუ არა აგიზგიზებულ ღუმელიდან, ლავას ასეთი სიმღერა შემოესმა:

დაე ყველამ მოისმინოს  
ეს სიმღერა ჩვენი;  
დღეს ნახევარლიტრიანებს  
გული გვიცემს ლხენით.

ვინც ჩვენ გვშობა და მომავლის  
გზა აგვიკაშკაშა,—  
ვაშა, ვაშა ძია ლინჩას!  
ვაშა! ვაშა! ვაშა!

ამ სიმღერას კონვეიერზე გამწკრივებული ნახევარლიტრიანები მღეროდნენ.

— არ მინდა ვიყო ჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი! — აღშფოთებით წამოიყვირა გავარვარებულმა ლავამ. იგი მიხვდა, რომ უბრალო ჭურჭლის ხვედრი ელოდა.

— ჯერ დაბადებულიც კი არა ხარ და უკვე ყოყლოჩინობ? გაჩუმდი! — გაუწყრა მას ძია ლინჩა. ლავას ხმა აღარ ამოუღია. იგი ნაღვლიანად აკვირდებოდა მის გვერდით, მეორე კონვეიერზე მოძრავ ყელყარყარა სურებს, რომლებსაც მეტისმეტი სიამოვნებისაგან პირისახე უღაჟღაჟებდათ. ისინი ამაყად გადმოსცქეროდნენ ნახევარლიტრიანებს. თან ისე ტკბილად, ხმაშეწყობილად მღეროდნენ, რომ ლავამ გაიფიქრა, ნეტავი დიდხანს მაინც მომასმენინა ამათი გალობაო. მაგრამ ძია ლინჩამ იგი კალაპოტისკენ ისროლა და მომღერალი სურებიც თვალს მიეფარნენ.

— აქ არ მინდა! — იწივლა ლავამ.

— როგორ თუ არ გინდა! დროა, რაღაცას დაემსგავსო. სულ ასე უცხვირპირო ხომ არ იქნები?! — თავზე დასძახა ძია ლინჩამ.

— არ მინდა! არ მინდაა! — ამაოდ ამოიწრიპინა რკინის მარწუხებში მოქცეულმა ლავამ. მისი ხმა ბერვია ბიჭებს არც კი გაუგიათ. მათ გამალებით დაუწყეს ბერვა.

— აბა, მარჯვედ, მეგობრებო! — გაამხნევა ისინი ძია ლინჩამ.





ლავა ამაოდ კვნესოდა: — ვაიმეე! ვაიმეე! აღარ შემიძლიაა!

— უჰ, რა ჯიუტია! — გაიკვირვეს დამხმარე რკინის მუშებმა, რომლებიც შეუსვენებლად ტრიალებდნენ კალაპოტთან.

— მე მინდა ვიყო საყვავილე ლარნაკი, ან — ყელყარყარა სურა! — ისევ ამოიჭყივლა ლავამ. ბერვია ბიჭები კი სულმთლად გაიოფლნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ბერავდნენ და ბერავდნენ. შავტუხა რკინის მუშებიც გააქტიურდნენ. მთელ ქარხანაში ისმოდა მათი შთამაგონებელი ხმა:

— ნუ ჯიუტობ!

— არ მინდა ვიყო ჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი!

— შენ იქნები ნამდვილი ნახევარლიტრიანი!

— არ მინდააა! — ათასნაირად იკლაკნებოდა ლავა. მასში ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ხელოვნების ნაწარმოებად ქცევის სურვილი. იგი ხან ყელყარყარა სურის ცალ გვერდს ემსგავსებოდა, ხან ცდილობდა — საყვავილე ლარნაკის იერი მიეღო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ სიჯიუტით ვერაფერს გახდებოდა.

— გეყო, დაგვნებდი! — მშვიდად უთხრა მას ძია ლინჩამ.

— როგორ, მთელი ჩემი ცხოვრება ბოთლი უნდა ვიყო და, ისიც — ნახევარლიტრიანი?! — ახლა უკვე ზომაზე მეტად გაცეცხლდა ნახევარლიტრიანი, — ლიტრიანი მაინც ვიყო. გეხვეწებით, გევედრებით! — ყელს უწევდა იგი ძია ლინჩას. მაგრამ თხოვნა რაღას გასჭრიდა, როცა ჯიუტი ლავა უკვე ჩამოყალიბებული ნახევარლიტრიანი გახლდათ.

— აგერ, გახედე შენს და-ძმებს! — ღიმილით უთხრა მას ძია ლინჩამ, — რა ტკბილად ღიღინებენ. მათი საყვედური ჯერ არავის არ გაუგონია.

ნახევარლიტრიანმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და მართლა გახედა მის წინ ჩამწკრივებულ თანატოლებს, რომლებიც სახევანათებულნი მიიჩქაროდნენ სადღაც. „ნეტა საით გარბიან ასე თავქუდმოგლეჯილნი? — გაიფიქრა ნახევარლიტრიანმა, — იქნებ არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველია მათი ცხოვრება". აღარ დაუყოვნებია, სწრაფად აედევნა მხიარულ და-ძმებს და ერთ-ერთ მათგანს შეეკითხა:

— სად მიეშურები, ძმობილო?

— სად და, ლიმონათის ჩამოსასხმელ ქარხანაში! — ამაყად წარმოთქვა მან.

ნახევარლიტრიანს კინაღამ გული შეუწუხდა, — ნუთუ ლიმონათის ქაფიანი სითხით უნდა აივსოს ჩემი დიდებული სხეულიო. განზე გახტა და მოთმინებით დაუწყო ცდა ნახევარლიტრიანების ახალ ნაკადს, რადგან დარწმუნებული იყო, დრო და მანძილი ააცილებდა ამ სამარცხვინო ბედს. აგერ, კიდევ გამოჩნდა. ოღონდ უფრო მაღალყელიანი ნახევარლიტრიანების ნაკადი.

— თქვენც ლიმონათის ქარხანაში მიდიხართ?! — შიშნარევი ხმით იკითხა ნახევარლიტრიანმა.

— არა, ჩვენ ლუდის ქარხანაში გაგვამწესეს! — ერთხმად წამოიძახეს მაღალყელიანებმა და ღიღინ-ღიღინით განაგრძეს გზა.

— არ მინდა! არ მინდა! არ მინდა! — სამჯერ შეჰყვირა ნახევარლიტრიანმა იგი ახლა მოპირდაპირე მხარეს გამწკრივებულ რაზმთან მიიჭრა.

— ლუდის ქარხანაში თუ არ გსურს, მაშინ ჩვენთან წამოდი, ლამაზო! — უთხრა მას რაზმის მეთაურმა.

— თქვენ სადღა მიდიხართ? — ძლივს ამოილუღლუღა ნახევარლიტრიანმა და ლაწვებზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა.

— ბორჯომის ჩამოსასხმელ ქარხანაში...

არაჩვეულებრივმა ნახევარლიტრიანმა მხოლოდ გადმოცემით იცოდა, რა იყო ბორჯომი.

— მე მინდა ვიყო ყვავილების ლარნაკი, ყვავილების ლარნაკი, და არა — რაღაც სულელური სითხით სავსე ბოთლი!





— ხა-ხა-ხა! აი, თურმე როგორი მეტიჩარა და დიდგულა ყოფილა! — აროხროხდა რაზმის მეთაური, — გაიგეთ, ყვავილების ლარნაკად ნდომებია გადაქცევა. ხა-ხა-ხა! — მას სხვა ნახევარლიტრიანებიც აჰყვნენ და მთელ დარბაზში უცნაური სიცილ-ხარხარი ატყდა.

არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი, რომელმაც აინუნშიც კი არ ჩააგდო თანამოძმეთა დაცინვა, ჯამბაზივით შემოტრიალდა კონვეიერზე. ახლა მან გეზი კვლავ მოგიზგიზე ღუმელისკენ აიღო.

— საით გარბიხარ, ძმობილო?! — გაოცდა მის საპირისპიროდ მომავალი ნახევარლიტრიანი.

— უკან ვბრუნდები.

— როგორ! — შესძახა ახალბედამ.

— როგორ და, ჩვეულებრივად... მინდა ხელახლა გამომძერწონ, არ მსურს, შენისთანა მახინჯი ნახევარლიტრიანი ვიყო. საყვავილე ლარნაკად, ანდა ყელყარყარა სურად უნდა ვიქცე...

## უცნაური შემთხვევა

არაჩვეულებრივ ნახევარლიტრიანს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მოხდა მისთვის მოულოდნელი ამბავი; წუნმდებელმა იგი საწინააღმდეგო მიმართულებით გააქანა და შუშის ნამსხვრევების გორაზე ისროლა.

— აქ რა მინდა?! აქ რა მინდა-მეთქი! — გონს ძლივს მოეგო საცოდავი, — ოი, ოი, გული მიწუხს! ლამის დავბრმავდე ამ ბრჭყვიალა ნამსხვრევებში. რა უბედური ვარ! რა უბედური!, — აღმოხდა არაჩვეულებრივ ნახევარლიტრიანს.

— რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! — მოისმა უცებ ნამსხვრევებიდან. ნახევარლიტრიანთან წელში გადა-



მტყდარი ძველი ბოთლი მიჩოჩდა: —რა გატირებს, ბიჭიკო? დამშვიდდი და ბედს შეეგუე...

— აქ რა მინდა! დამტვრეული ხომ არა ვარ?!

— დამტვრეული არა, მაგრამ, გეტყობა, რომ ჯიუტი და წესრიგის დამრღვევი ხარ. შენისთანებს კი ჩვენთან ასე უმასპინძლდებიან.

— მე მინდა საყვავილე ლარნაკად ვიქცე. ნუთუ არა მაქვს უფლება!..

— კარგი, გეყოფა! — სიტყვა გააწყვეტინა წელში გადამტყდარმა, — შენ უკვე ნახევარლიტრიანი ხარ. ეს ყოფილა შენი ბედი, ნუ იბერები, თორემ, იცოდე, შენც ჩემსავით მოგივა...

— შენ რაღა მოგივიდა? — იკითხა ნახევარლიტრიანმა.

— შეუძლებელი მოვინდომე. მინდოდა ლიტრიანი ვყოფილიყავი. მეტისმეტად გავიბერე და... ტკაც! გავსკდი კიდეც... და აი, ახლა აქა ვგდივარ.

ჯიუტი ნახევარლიტრიანი, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა ძველი კაცის გულწრფელმა აღსარებამ და, — მეც ასე არ მომივიდესო, — შეეშინდა.

— მაგრამ გული მაინც მაგრადა მაქვს: ვიცი, მალე, ამ ლეწთან ერთად, ისევ ღუმელში მოვხვდები...

— და საყვავილე ლარნაკად იქცევი? ნახევარლიტრიანს კვლავ იმედის ნაპერწკალი აუთამაშდა თვალებში.

— ჩვენისთანა ბოთლი საყვავილე ლარნაკად არასოდეს არ იქცევა! — თქვა წელში გადამტყდარმა.

— თუ ასეა, როდემდე უნდა ვეგდო ამ საზიზღარ გროვაზე?! — მოთმინების ფიალა აევსო არაჩვეულებრივს. — გამიშვით! ჩემს და-ძმებთან გამიშვით!

მექანიკური წუნმდებელი მანქანა, რომელსაც მეტსახელად წუნია დეიდას ეძახდნენ, მალე მოალბო უთვისტომოდ დარჩენილი ნახევარლიტრიანის გულისგამწვრილებელმა თხოვნამ.

— აჰა, როგორც იქნა მოხვედი გონს არა?! — თითი დაუქნია მან.

— ნუ ტირი! დეიდა წუნიამ რაკი შეგიბრალა, უთუოდ დაგაბრუნებს უკან,— ჩასჩურჩულა წელში გადამტყდარმა.

ამასობაში, დეიდა წუნიამ ჩაავლო თავისი რკინის მარწუხი არაჩვეულებრივ ნახევარლიტრიანს და კვლავ კონვეიერზე გამწკრივებულ ბოთლებთან დასვა.

— ამიერიდან მაინც იყავი ჭკვიანად! — უთხრა მან.

არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი, როგორც კი თანამოძმეთა შორის მოხვდა, კვლავ გაამაყდა.

— გზა, გზა დამითმეთ! ვერ ხედავთ, რომ მოვდივარ!

— ერთი ამას დამიხედეთ, როგორ იბერება! — ერთხმად აყაყანდნენ ნახევარლიტრიანები. ნურას უკაცრავად, გზა არავის არ დაუთმია. ყველას თავის საქმეზე მიეჩქარებოდა და ტრაბახას უთავბოლო წრიპინს ყურს არც უგდებდნენ.

მხოლოდ ერთმა, სათნო გულის ნახევარლიტრიანმა ვეღარ მოითმინა და, გვერდით ჩავლისას, წკრიალა ხმით ჩაულაპარაკა: — ნუ იქცევი ასე, არ შეგფერის...

ეს სიტყვები ისეთი მზრუნველობით იყო ნათქვამი, რომ არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი უკან აედევნა კეთილ დამრიგებელს.

— ვინა ხართ, ან საით მიდიხართ?— ჰკითხა მან ზრდილობიანად.

— მე? მე ჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი ვარ. ერთი წამი „ იქნება, რაც ამ ქვეყნად გავჩნდი, ძია ლინჩამ ბროლა შემარქვა.

არაჩვეულებრივ ნახევარლიტრიანს ახლა გაახსენდა, უსახელო რომ იყო, და კვლავ ბუზღუნი დაიწყო: — ჩემთვის სახელიც კი არ შეურქმევიათ! მოდი და, კეთილად მოიხსენიე ასეთი მშობლები.

— მე შენ ხასხასას დაგარქმევ, —ღიმილით უთხრა მას ბროლამ, — წამოდი ჩვენთან, მალე ყურძნის ტკბილი წვენით აგვავსებენ...

— დაიცა, მოვიფიქრებ! — თქვა არაჩვეულებრივმა ნახევარლიტრიანმა, რომელსაც ჭკუაში დაუჯდა ბროლას შერქმეული სახელი.

იგი დიდხანს იდგა და ფიქრობდა. ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. უცებ გზა დამთავრდა, და ახალგაცნობილნი მოულოდნელად დაშორდნენ ერთმანეთს.

— ხასხასა! — მოესმა არაჩვეულებრივ ნახევარლიტრიანს ქარხნის შორეული კუთხიდან. მან თვალი მოჰკრა ბროლას, რომელიც მალე გაუჩინარდა და გულმოკლული ხასხასა მარტო დატოვა უცხო თანატოლებს შორის.

— კიდევ კარგი, რომ არ გავყევი... ჰმ, ყურძნის წვენი რა ვაჟკაცის სასმელია! — ჩაილაპარაკა მან.

სანამ კონვეიერი დანიშნულ ადგილზე მიიყვანდა, ხასხასამ კიდევ სამ ღუმელში გაიარა. თითოეულ მათგანში თანდათანობით კლებულობდა ტემპერატურა და ნახევარლიტრიანები ცხადად გრძნობდნენ, როგორ იწრთობოდა მათი სხეული.

ბროლას გაცნობისა და დაკარგვის შემდეგ ხასხასას წამი აღარ დაუყოვნებია. იგი ფეხდაფეხ გაჰყვა ნახევარლიტრიანებს, რომლებიც კისრისტეხით გარბოდნენ და თავდაყირა ხტებოდნენ ლამაზ ყუთებში. ეს ყუთები მზით განათებულ ეზოში იდგა და ზედ ყურძნის აკიდოები ეხატა. ,,ფრთხილად, სულელო! ხაფანგში არ გაება!‘‘ — შეუძახა ხასხასამ თავის თავს, ყუთში ჩამდგარი ნახევარლიტრიანები სიმღერით მოუწოდებდნენ სხვებს:

ჩქარა, ჩქარა, ჩვენ გამოგვყვეს
და შეიქნეს მოძმე ჩვენი,
ვისაც უყვარს მოკამკამე
და შაქარა ყურძნის წვენი!

არც ლიმონათის ჩამოსასხმელ ქარხა-

ნაში მიმავალი მგზავრები აცდენდნენ უქმად დროს:

აბა, მალე ყუთში ჩახტეს,
ვინც ყველაზე სწრაფი არის,
რომ დალიოს ლიმონათი
შუშხუნა და ქაფიანი.

„სწორედ ახლა მმართებს ჭკუა და მოხერხება“, — გაიფიქრა ხასხასამ. მან თვალი მოჰკრა მარჯვნივ მდგარ ფერად ყუთს, რომლის თხელი სახურავი წინა ღამით წვიმას დაელაქავებინა. გამოსახულება ეგზომ მიმზიდველი ეჩვენა ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხასხასას, რომ მაშინვე შიგ ჩახტომა გადაწყვიტა. დაოთხილი მიიჭრა მასთან, მაგრამ, დახეთ უბედურებას, — ყუთი სავსე აღმოჩნდა ნახევარლიტრიანებით.

„ჩუმად სხედან ეშმაკუნები, რომ სხვები არ შეეზიარონ ამ ბედნიერებაში!“ უმალ გაუელვა ხასხასას.

— ჩამსვით, თქვენს შორის ჩამსვით! — განწირული ხმით აწრიპინდა იგი. რამდენჯერმე გარს შემოურბინა კიდეც თავდასახურავად გამზადებულ ყუთს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მიხვდა, მარტო თხოვნა-მუდარით ვერას გავხდებიო, ძალ-ღონე მოიკრიბა, ქშენითა და ოხვრით მისწი-მოსწია თანამოძმენი და ყუთში ლურსმანივით ჩაერჭო.

— ოი, ოი, რა ამბავია?! ვიხრჩობით! აღარ შეგვიძლია! — გამოერკვნენ ჩაფიქრებული ნახევარლიტრიანები.

— ჩვენს ყუთში ერთ-ერთი ზედმეტია! — აყვირდა მათ შორის ყველაზე გაბედული.

— რომელია ზედმეტი?

— თუ თავად არ აწუხებს სინდისი, მე თვითონ აღმოვაჩენ ოცდამეერთეს! — თქვა გაბედულმა ნახევარლიტრიანმა, რომელიც წამდაუწუმ თავს იწონებდა, ოცდახუთამდე თვლა და ანგარიში ვიციო. იგი სწრაფად ამოხტა მაღლა და ბრძენკაცივით შეუდგა თვლას: — ერთი, ორი, სამი... — ითვლიდა დინჯად და აუჩქარებლად, — ცხრა, ათი, თერთმეტი... — კრიალოსანივით მარცვლავდა ბგერებს, — თხუთმეტი! თექ-ვსმე-ტი! ჩვი-დმე-ტი! — ძლივს მიაღწია ოცამდე და საოცრად გაკვირვებული დარჩა, რადგან ოცდამეერთე თვითონვე აღმოჩნდა.

— მოგვწყდი თავიდან! — ამოსძახეს ბრძენს ნახევარლიტრიანებმა ყუთიდან. ხასხასამ კი გულიანად ჩაიხითხითა: — სულელი ყველგან ზედმეტია!

## მგზავრობა

დილით ყუთები სატვირთო მანქანის ძარაზე დააწყვეს და სადღაც გააქანეს.



ნახევარლიტრიანებს კარგა ხანს ხმა არ ამოუღიათ, გეგონებოდა, დასასჯელად მიჰყავთო.

უეცრად მანქანა დამუხრუჭდა.

— სადა ვართ? — წამოიძახა ვიღაცამ.

— აბა გაემზადეთ! უკვე მოვედით! — აყაყანდნენ მგზავრობით დაღლილი ნახევარლიტრიანები. ხასხასამ ძარის ჭრილიდან გახედა მოხმაურე ქუჩას.

პირველი, რასაც თვალი მოჰკრა, იყო ცამდე აწვდილი ვეება მილი, მილსზემოდ გაწოლილი შავი კვამლი და გაჭვარტლული, ძველისძველი შენობა.

— ეს ქიმიური ქარხანაა! — აუხსნა გუნებაწამხდარ ხასხასას ერთ-ერთმა ნახევარლიტრიანმა.

ირგვლივ ზეთისა და საღებავების მძაფრი სუნი იდგა... ხასხასა მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა დიდი შეცდომა ჩაიდინა. როცა ყუთიდან იღებდნენ ერთი ღრ::ალი მორთო, — არ მინდა საღებავით გამთხუპნონო, მაგრამ ვინ უგდო ყური.

ტირილისაგან დაოსებული ხასხასა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ კონვეიერზე მოხვდა. სულელი ნახევარლიტრიანები, რომლებსაც ბედისადმი სრული მორჩილება გამოეცხადებინათ, ღიმილით უქნევდნენ ხელს — გამხიარულდი, ძმობილოო.

ხასხასა მორაკრაკე ონკანს უახლოვდებოდა. „აი, ახლა კი დამთავრდება ჩემი წამება“, — გაიფიქრა მან.

— ჩხრ... ჩხრრ! გამარჯობა! — მიესალმა მას ციცქნაბაფთიანი ონკანი, სახემოღუშული სტუმარი არასასიამოვნო სუნის მქონე სითხით გაავსო. ხასხასას თავბრუ დაესხა. კინაღამ ძირს მოიღო ზღართანი.

— უუხ, გული მერევა! რა საზიზღარი სასმელია! ჯერ არაფერი არ მინახავს ასეთი. უუხ! — ბანცალ-ბანცალით გაჰყვა კონვეიერს.

— შეჩერდი ვაჟბატონო, სად მიდიხარ უქუდოდ?! — ჩამოსძახა მას საცობდამცობმა.

— მომწყდით თავიდან, — გაბრაზდა ხასხასა, — რას გადამკიდებიხართ!

— ვერა, ვერ გაგიშვებ ასე! — მრისხანე საცობდამცობმა ხასხასას რაღაც ჩაჰკრა თავში და მერე სხვებს მიუბრუნდა:

— უქუდოდ ვერცერთი ვერ გამეპარებით, ვერცერთი!

— სჯობდა ლუდის ან ლიმონათის ქარხანაში გავყოლოდი ჩვენებს. ახლა ყურძნის წვენიც საოცნებოა ჩემთვის. რატომ არ დავუჯერე ბროლას, ეეხ! — ხასხასას ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. სწორედ ამ დროს, მისკენ პაწია პეპელასავით გამოფარფატდა ჭრელი ქაღალდი. „გამოჩნდა ვიღაც ღვთისნიერი და ცრემლების მოსაწმენდად ცხვირსახოცს მიწვდისო“, — გაიფიქრა ხასხასამ და გულაჩუყებული მისკენ გაემართა. წინ საშინელი შესახედაობის ულვაშა შეეჩეხა.

— გამარჯობა, ლამაზო! — დამცინავად ჩაიქირქილა მან და ჯაგარა ულვაშით მუცელზე მყრალი წებო წაუსვა.



— ეს რაღაა?! — ამოიგმინა ხასხასამ.

— ახლავე მიხვდები! — უპასუხა მოშრიალე ქაღალდმა და წელზე წინსაფარივით შემოეჭდო. „კა პირველი — ეწერა ზედ დიდი ასოებით, — იხმარება თეთრეულის გასარეცხად“.

## სამრეცხაოში

კეთილმომსახურების დიდ სამრეცხაოში, სადაც ქიმიური სითხით სავსე ხასხასა მოხვდა, ღრუბელივით სქელი ბუღი იდგა.

— სადა ვარ! ვეღარაფერს ვხედავ. მგონი დავბრმავდი! — ატირდა იგი. შიშისაგან ცახცახი დააწყებინა, რასაც ხველება და ცხვირისცემინებაც დაერთო. გაოფლიანებული... გაორთქლილი და სარეცხის ოხშივრით შეწუხებული, დიდხანს ვერ დამშვიდდა.

სამრეცხაო ოთახის ოთხივე კუთხეში უამრავი თეთრეული და დალაქული ტანსაცმელი იყო დახვავებული. შუა ადგილას იდგა სიმსუქნისაგან დამრგვალებული ოთხი სარეცხი მანქანა — ლოყაწითელა დეიდები. ისინი ოთხად გაჭრილი ვაშლის ნაჭრებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მათთვის უცხო იყო ფიქრი და მოწყენილობა. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჩიჩქნიდნენ და ქაფავდნენ დაჭუჭყიანებულ პაციენტებს.

— შეგვიცოდეთ, ხომ ხედავთ სული ძლივსღა გვიდგას! — ჩიოდნენ ფაშფაშა ზეწრები.

— ვაიმე, ვაიმე! თვალები გვეწვის! — წიოდნენ პატარა გოგო-ბიჭების პერანგები, სახელოებით ისრესდნენ გაქაფულ პირისახეს, მაგრამ სახელოებიც ხომ გაქაფული ჰქონდათ!

— ეხ, კარგი დღე არც მე დამადგება აქ! — ამოიოხრა ხასხასამ.

სამრეცხაო მანქანებს
ძლიერ გვიყვარს შრომა,
საპონი და წყალი —
ბლომად, ბლომად, ბლომად!
კიდევ — სითხე საკვირველი:
,,კა პირველი'', ,,კა პირველი!''

არც თუ ისე ნაზი ხმით მღეროდნენ ტყუპები. საოცარი ის იყო, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი წამითაც კი არ მოუშორებიათ ხასხასა: ხან ერთი მიიდებდა ბაგეზე და ხან — მეორე. წრუპავდნენ საზიზღარ სითხეს და სიამოვნებისაგან პირისახე უციმციმებდათ.

როცა სასმელი სულ მთლად დაილია, ხასხასა მაღალი სარკმლის რაფაზე შემოდგეს. ზევიდან ყველაფერი გარკვევით ჩანდა; ოთახში მოცეკვავე ზეწრები და პერანგები, მრეცხავი დეიდები, რომლებიც ახლა მოცეკვავეთა წრის შუაგულში ჩამდგარიყვნენ და ტაშისცემით იკლებდნენ იქაურობას. ხასხასას შეეძლო მეორე ოთახის ღია კარიდან დაენახა, როგორ სრიალებდა გაქათქათებულ თეთრეულზე ღიპიანი უთო. გასაშრობი ღუმელისკენ მიმავალი პაციენტები წარამარა იხრიდნენ ხასხასას წინაშე თავს:

— გმადლობთ, გმადლობთ, მეგობარო! არასოდეს არ დაგივიწყებთ შენს ამაგსო...

— რაში მეპიტნავება ამათი მადლობა! — ბუზღუნებდა ხასხასა, — მე ახლა ის უფრო მსიამოვნებს, რომ ბოლოსდაბოლოს გავთავისუფლდი ამ საძაგელი სითხისაგან...

ხასხასამ ვერც კი შეიტყო, როგორ ჩამოწვა სამრეცხაოში ღამის ბინდი. შეწყდა მხიარული სიმღერა და ფაციფუცი. მან სარკმლის გრილ მინას მიადო მხურვალე შუბლი და გული კვლავ სინანულით აევსო.

## კარნავალი

სარკმლიდან ჩანდა ფერად-ფერადი რეკლამებით მოჩახჩახე ქუჩა, საზაქარლამო, მაღაზია, კინოთეატრი. ცხოვრება დუღდა. ქვაფენილზე მხიარულად მიმოდიოდა ხალხი. ცალთვალა შუქნიშანთან, ყვავილნარის ახლოს, რომელიღაც გოგონას მიხაკების თაიგული მიჰქონდა. ,,ალბათ ლარნაკის საყიდლად მიდის'', — გაიფიქრა ხასხასამ. გოგონა იქვე, პაწაწკინტელა ნათურებით მოელვარე მაღაზიაში შევიდა. ,,აქ შეგიძლიათ მიირთვათ საუკეთესო ხარისხის სასმელები!'' — იუწყებოდა ფერადი აბრა. წინადადების ბოლო სიტყვა ხან მწვანედ, ხან ლურჯად, ხან კი ოქროსფრად ლიცლიცებდა. ვიტრინიდან ჩანდა თავმოოქროვილი ბოთლები — ნახევარლიტრიანები და ლიტრიანები. ისინი ისე ამაყად იდგნენ ერთმანეთის გვერდით, თითქოს არავითარი სხვაობა არ ყოფილიყო მათ შორის. უცებ, ვიტრინის მინასთან, რომლის წინ უამრავ ცნობისმოყვარეს მოეყარა თავი, სწორედ ხასხასასოდენა ნახევარლიტრიანი გამოვიდა.

— ეს ხომ ბროლაა! — წამოიყვირა ხასხასამ.

— ვიწყებთ კონცერტს! — წკრიალა ხმით გამოაცხადა ბროლამ. ხასხასას გარკვევით არ გაუგია მისი სიტყვები, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ბროლა მაყურებელს რაღაც არაჩვეულებრივი სანახაობის ჩვენებას ჰპირდებოდა. გამართლდა მისი წინათგრძნობა. ორიოდე წამიც არ გასულა, რომ საზეიმოდ მორთულ ვიტრინაში ნახევარლიტრიანების მომღერალთა გუნდი გამოჩნდა. წინ ისევ ბროლა მოუძღვოდა. იგი ლამაზად არხევდა მხრებს და გატაცებით მღეროდა:

მყავდა ერთი მეგობარი,
ცელქი, მოუსვენარი

ჯამ-ჭურჭლის ორკესტრი ოსტატუ-





რად ასრულებდა საუცხოო მელოდიას. ბროლამ სიმღერა დაამთავრა. ატყდა ტაშისცემა.

— ბიის! ბიის! — ყვიროდნენ აღტაცებული მაყურებლები. მერე ლიტრიანებმა შეასრულეს ახალი საცეკვაო ნომერი. მათ არც არასრულლიტრიანები ჩამორჩნენ. ბოლოს ზღაპრული კარნავალი გამართეს.

— აი, სად იყო ჩემი ადგილი. რარიგ დამშვენდებოდა ბროლას გვერდით დგომა! რა უბედურ დღეზე ვარ დაბადებული. ასე უხალისოდ როდემდე უნდა ვიყო?! — წარამარა ოხრავდა ხასხასა. სარკმლის მინაზე პაწაწინა რუებივით ჩამოდიოდა მისი ცრემლი.

ვარსკვლავებით მოჭიქული ცა მკრთალად ანათებდა სამრეცხაოს ნესტიან კედლებს.

ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. .

ბებერი ობობა, სარკმლის ზედა ჩარჩოზე რომ ცხოვრობდა, დიდხანს ისმენდა ახალი ბინადარის დაუსრულებელ ჩივილს.

— ფუ, რა წუწუნა ვიღაცაა! — თქვა მან, — ეს თუ აქ დარჩა, სიცოცხლეს გამიმწარებს...

სამრეცხაოში ბუზები ნაკლებად დაფრინავდნენ, რადგან მძიმე ჰაერი იდგა ობობა ნახევრადმშიერი ატარებდა დროს თავის ძველისძველ ჰამაკში. შეეძლო მთელი თვეობით ეშიმშილა, ოღონდ ოცნებაში კი ხელი არ შეეშალათ მისთვის. სასტიკად სძულდა უიმედო და მტირალა არსებანი.

— რა გატირებს? — ჰკითხა მან ნახევარლიტრიანს. პაწია აბრეშუმის პარაშუტზე ჩამოკონწიალებული დაეშვა ძირს და ხასხასას ზედ მხარზე დააჯდა:

— ვაიმე, ვაიმე! — მიშველეთ! — შაშვივით დაალო პირი ხასხასამ.

— ნუ გეშინია, მე ობობა ვარ. შენისთანა მშიშარა ბოთლებს არას ვერჩი. მე მხოლოდ ბუზებსა და პეპლებს ვიჭერ! — ესა თქვა და, თავისი ოსტატობა რომ ეჩვენებინა, მიწაზე საცოდავად მობუზულ პაწია ქინქლას ბუსუსიანი ფეხები შემოჰხვია და წუილი დააწყებინა.

— ახლა კი მითხარი, რა გატირებს? — გაუღიმა ობობამ და ულვაშებზე ხელი გადაისვა. ჭამის შემდეგ მუდამ კეთილი და ყურადღებიანი ხდებოდა.

— მე... მე ძალიან უბედური ვარ. აქ, ამ აშმორებულ სამრეცხაოში იღუპება ჩემი ნიჭი...

— მღერი? — იკითხა ობობამ.

— არა, მაგრამ...

— ცეკვავ?

— არც ვცეკვავ.

— აჰა, უთუოდ ლექსებს წერ! — დაასკვნა ობობამ.

— არა, მე ლექსებს არა ვწერ! — თქვა ხასხასამ. მას უკვე მობეზრდა ამ მახინჯთან საუბარი. უნდოდა ერთი თავისებურად შეეძახა, — მომწყდი თავიდანო... მაგრამ ვერ გაბედა. ტყუილად როდი შეარქვა ობობამ მშიშარა.

— არ მღერი, არ ცეკვავ, არც ლექსებს წერ. აბა რა კაცი ხარ! — დაცინვით უთხრა ობობამ.

— მე... არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანი ვარ. ჩემი და-ძმები, ჩემთან შედარებით საოცრად შეუხედავი და უნიჭოები რომ იყვნენ, აგერ, გახედე, — კარნავალზე თავს როგორ იწონებენ. მე კი აქ უნდა ამომხდეს სული! — ხასხასამ თავი ველარ შეიკავა და კვლავ ქვითინი აუვარდა.

— ჰო, კარგი, დამშვიდდი. ასე წარამარა თუ იტირე, ბუზებს დამიფრთხობ! რაც შეეხება შენს წუხილს, მე დაგეხმარები, — დააიმედა ობობამ.

— მართლა? — გაუხარდა ხასხასას.

— აქედან გაქცევაში დაგეხმარები!

— სად? როგორ? ვერ ხედავ, რამსიმაღლე სარკმელზე ვარ შემოდგმული, ძირს რომ ჩავხტე, სული არ დამყვება, — შიშისაგან ხმა ჩაეხლიჩა ნახევარლიტრიანს.

— აი, ჩემი თოკი! ნუ გეშინია! — ბებერმა ობობამ ხასხასას წვრილ კისერზე შემოახვია თავისი ნახელავი და დასამშვიდებლად ყურში ჩასჩურჩულა:

— გადახტი, სანამ მრეცხავი დეიდები გაიღვიძებდნენ. გადახტი! რას კანკალებ, ბიჭი არა ხარ?!

ხასხასამ მოიკრიბა შერჩენილი გამბედაობა, ჯერ ფრთხილად დაცურდა სარკმლის რაფაზე, შემდეგ ისკუპა და ჰაერში საცოდავად დაიწყო ხელ-ფეხის სავსავი. თოკი თანდათან დაიჭიმა, დაგრძელდა და ფერწასული ნახევარლიტრიანი ქვევით გააქანა.

ირგვლივ ყველაფერი დაქანდა, დატრიალდა: ჭერი, იატაკი, სარკმელში მოჭიატე ცისკრის ვარსკვლავი.



— მიშველე, მიშველე, ობობავ, მგონი წყდება შენი თოკი! — აყვირდა დასამსხვრევად განწირული ხასხასა. აბრეშუმის ძაფივით წვრილმა თოკმა ვეღარ გაუძლო სიმძიმეს და შუაგზაზე გაწყდა.

— ბრახ! — გაისმა მსხვრევის ხმა.

— ხა! ხა! ხა! ხა! — აჰყვა ამ ხმას ბებერი ობობა, — ასეთი მტირალები მხოლოდ სუფთა ჰაერს წამლავენ! — თქვა მან და ზანტი ზმორებით თავისი საყვარელი ჰამაკისკენ გაემართა.



## სანაგვე ყუთში

ცხვირმომტვრეული ნახევარლიტრიანი მეორე დღეს სანაგვე ყუთში ისროლეს. ძვლებსა და კარტოფილის ნათალში მოხვედრილი ხეიბარი დიდხანს კვნესოდა და ოხრავდა.

— ნუთუ ამ ნაგავში უნდა ამომხდეს სული! — ხასხასას ამ საშინელმა აზრმა თვალებზე ლიბრი გადააკრა, გონება დაუბინდა... ბოლოს, ნაღვლიანი ფიქრებისაგან დაღლილს, მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

ხასხასას გამოეღვიძა. გათენებულიყო. წვიმდა...

ცაზე ღრუბლები ირეოდნენ. ყუთში აუტანელი დუმილი იდგა. „უნდა გავშორდე ამ სიბინძურეს", — გადაწყვიტა ნახევარლიტრიანმა. რის ვაი-ვაგლახით ამოძვრა მაღლა. მხრებზე კოკისპირულად ასხამდა წვიმა. მახლობელ ეზოში შრიალებდნენ წვიმით გალუმპული მაღალი ჭადრები, იასამნის ბუჩქები და ბალახები.

შორს, ღრუბლებში, ზღაპრული გველივით იკლაკნებოდა ელვა...

## მეორედ დაბადება

იმ დღეს ნაგავი მდინარეში გადაყარეს, ხასხასა კი, სხვა დამტვრეულ ბოთლებთან ერთად, ისევ შუშის ქარხანაში მოხვდა.

— ოჰო, ცელქ ბიჭს ვახლავარ! — მიესალმა ხასხასას ძია ლინჩა, — რაო, წაიტეხე ცხვირი?

— წავიტეხე... — დაიმორცხვა ნახევარლიტრიანმა.

— არაფერია. დაე, ეს შენთვის უკანასკნელი გაკვეთილი იყოს! — დინჯად თქვა ძია ლინჩამ, — შენ სულ მალე მეორედ დაიბადები. ასეთი ბედნიერება ყველას როდი ღირსებია...

— გმადლობთ, ძია ლინჩა! — ვეღარ დაფარა სიხარული ხასხასამ, — დღეიდან მე... — უნდოდა ეთქვა გამოვსწორდებიო, მაგრამ რკინის ნიჩაბმა იგი პირღია დევკაცის მოთახთახე მუცლისკენ გააქანა.

კვლავ ღიღინებდა ცეცხლი თავის ძველებურ სიმღერას...

მღეროდა ძია ლინჩაც.

ხმაურობდნენ კარუსელივით მბრუნავი კალაპოტები და კონვეიერი... ახლადგამოწრთობილ ნახევარლიტრიანებს შორის ჩამდგარი ხასხასა კი, რომელიც უკვე მეორედ მოევლინა ამ ქვეყანას, ხალისიანად სჭექდა ძია ლინჩას სადიდებელ სიმღერას.



ჯ. ჯერომი: ბუნება — ისეა, როგორც ველი დროის მედუქნე: საუკეთესო საქონელს ის არასოდეს ვანჭარაში არ გამოჰფენს ხოლმე.

ვ. გოეთე: ბუნება — ერთადერთი წიგნია, რომელიც ყოველ თავის კაბადონზე ღრმა შინაარსს შეიცავს.

მ. გორკი: ...რაც უფრო ეხერხება ადამიანს ბუნების ძალთა გამოყენება, მით უფრო უხვი და სრულყოფილია მისი იარაღი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მ. ნალბანდიანი: ადამიანი არა მარტო ფიზიკურად, არამედ ზნეობრივადაც განიცდის ბუნების გავლენას; ბუნების გულისცემა უშუალო გამოძახილს პოულობს ადამიანის გულში.

... ბუნება — ცეცხლია, — გშთანთქავს, თუ უხეშად მოეპყარი მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბუნება არაა დაუძლეველი, თუ მის წინააღმდეგ გეგმაზომიერად, მოფიქრებით, ბუნებრივივე საშუალებებით გაილაშქრებ.

ვაჟა-ფშაველა:

ბუნება მბრძანებელია
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..

ჯ. ლებოკი: თავის განძეულობას ბუნება ხშირად ისეთ ადგილებში მალავს ხოლმე, რომლებიც მეცნიერების დაუხმარებლად არავის არ შეიძლება აზრად მოუვიდეს.

ი. მიჩურინი: ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან: ჩვენი ამოცანაა — წავართვათ ეს წყალობა მას.





დესანკა მაქსიმოვიჩი,
იუგოსლაველი პოეტი ქალი


# ჩუმი მოწყენა

წიფელს შიშისაგან აცახცახებს,
მუხას ენანება წასვლა ტყიდან,
იცის — დაუგებენ ჩქარა მახეს,
ქალაქს წაიღებენ გასაყიდად.
ვაი, როგორ უყვარს ზეცის ფერი...
დგას ტყე, მოლოდინში გათანგული.
ხელებს არ აჩერებს შეშისმჭრელი,
მუხას ზედ ბეჭებზე დასცა ცული.
მისთვის მუხის ცრემლი არ ღირს არად,
ტყისმჭრელს საზრუნავი აქვს ერთობ ბევრი.
ხეს თვალს აყოლებენ ნაღვლიანად,
უღვთოდ აჩეხილი ფერდობები.
მუხას არ ეთმობა ზეცის ფერი,
ზეცას მუხის ჯავრი არ აქვს სულაც.
— ნეტა რას იყიდის შეშისმჭრელი
ასეთ სილამაზის საფასურად!

# სამშობლოს მიწაზე

მე შენს მიწაზე ყველაფერი მეცნაურება:
ბალახი, მიწა, ბილიკი თუ ანეულები,
დღეში რამდენჯერ იცვლის სახეს დედაბუნება,
ან ხე ფიჭვისა შეპყრობილა რა სნეულებით;
ვიცი, პირველად სად მწვანდება ხოდაბუნები,
ბაღებს საიდან ემუქრება ქარი აკლებით,
ვიცი, საითკენ მიფრინავენ მოლაღურები,
წლის რომელ თვეში იბარტყებენ მთაში კაკბები;
ვიცი, მაისში ცისარტყელა საით ინთება,
სეტყვა საიდან შემოუტევს მწვანე ველობებს;
როცა ფოთოლი ჩამოწყდება გამხმარ წიფელას,
რამდენხანს ფრინავს, ვიდრე მიწას დაეცემოდეს.
ვიცი, ყოველი გზა-ბილიკი მიდის საითკენ,
ან მკის თადარიგს გლეხიკაცი როდის დაიჭერს,
ახალმოშენე სადმე მცირე სახლს თუ აიგებს, —
ცისფრად შეღებავს, თუ მწვანეფრად თავის კარიბჭეს.
მე შენს მიწაზე ყველაფერი მეცნაურება:
ბალახი, მთები, ჭალები თუ ანეულები,
დღეში რამდენჯერ იცვლის სახეს დედაბუნება,
ან ხე ფიჭვისა შეპყრობილა რა სნეულებით.

თარგმნა ჟენია კახიძემ.

მხატვარი ბაიონ ფოცხიშვილი.



# 800

**ნოდარ ნათაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი

პოეტი არ აბრძოლებს თავის გმირებს ზღაპრულ არსებებთან — ქაჯებთან, რომლებსაც შეუძლიათ ჯადოქრობით მტერს თვალი დაუბნელონ, ქარი გამოიწვიონ და სხვა ამგვარი სასწაულები მოახდინონ. სამი გმირი ქაჯეთის ციხეს მაშინ იღებს, როცა ქაჯნი წასულნი არიან თავიანთ მეფესთან ერთად და ციხეს მრავალრიცხოვანი, მაგრამ ჩვეულებრივი ჯარი დარაჯობს. ამ ბრძოლასაც თავისი გეგმა აქვს, თავისი კონკრეტული ტაქტიკა, რომელზედაც სამი გმირი წინდაწინ თათბირობს. მათ ესმით, რომ სამასი ჯარისკაცი ციხეს ხერხის გარეშე ვერ აიღებს. — რუსთაველს იმდენად უყვარს სიმართლე თხრობაში, რომ ასეთ შეუძლებელ ამბავს იგი თავის პოემაში არ შემოგვთავაზებს, ამიტომ ფრიდონს, რომელსაც ბავშვობაში მუშაითობა ანუ ჯამბაზობა უსწავლია, უნდა ციხის კედელზე თოკი შეაგდოს, ზედ გავიდეს, ბრძოლით გზა გაიკაფოს ციხის კარებამდე და თავისი მეგობრები ჯარითურთ ციხეში შემოუშვას. ესეც ზღაპრული გმირობაა, მაგრამ მაინც შესაძლებელი გმირობა.

ამ თათბირს (რჩევას) ავთანდილი უარყოფს — ციხეს კარგად იცავენ და ფრიდონის აბჯრის ჩხრიალს დარაჯები

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 7.

გაიგონებენო. („მაგრამ თუ გესმის, გუშაგნი რა ასლო-ასლო ყივიან?"). ავთანდილის თათბირიც ასეთივე გაბედულია, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებს არც ის სცილდება — მას უნდა ვაჭრულად გადაიცვას, რომ ქალაქში შეუშვან, და შემდეგ ბრძოლით გაუღოს კარები ფრიდონს და ტარიელს. ტარიელის გეგმაც, რომელსაც გმირები ბოლოსდაბოლოს ირჩევენ, გმირულია, მაგრამ ზღაპრული არ არის: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი სამი მხრიდან ას-ასი კაცით, უბრალო მგზავრებივით უახლოვდებიან ციხის კარებს, რათა ქაჯთა სიფხიზლე მოადუნონ, შემდეგ უცებ იხურავენ მუზარადებს და, ვიდრე მცველები კარის დახურვას მოასწრებენ, ციხეში აღმოჩნდებიან. ეს მართლაც, ფეოდალურ ომებში შესაძლებელი ეშმაკობაა და არა ზღაპარი. ამ შემზადების შემდეგ მკითხველს აღარ ეხამუშება, რომ ტარიელმა ასი კაცით ციხის გვირაბში ათიათასი მცველი დახოცა; ამ ეპიზოდს მკითხველი ისევე ბუნებრივად იღებს, როგორც შემდეგ პოეტურ გაზვიადებას, როცა რუსთაველი გვეუბნება ქაჯეთის ბრძოლაში ტყვე ნესტანის მიჯნურმა ტარიელმა ფრიდონსა და ავთანდილს აჯობაო.

*ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:*
*რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,*
*მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია ,*
*მაგრამ რა გზათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა (მ ა ი ნ ც)*
*წყნარია.*

*თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწვდომნია,*
*მაგრა ტარიას შემმანი არვისგან მოსანდომნია,*
*მზე მნათობთაცა დაჭფარავს, არცაღა ნათლად ხომნია.*

ამრიგად, ტარიელი შედარებულია მზესთან, ხოლო ავთანდილი და ფრიდონი — სხვა მნათობებთან, რომლებიც მზის გვერდით აღარ ჩანან.

## ადამიანის ფსიქოლოგია

„ვეფხისტყაოსანში" არის ასეთი ეპიზოდი: ავთანდილმა მინდვრად ნახა მწუხარებისაგან გულწასული ტარიელი. ტარიელს საყელო გადაგლეჯილი აქვს, მას ლაპარაკი არ ესმის. თვალის გახელაც კი უმძიმს. ავთანდილი ძმადნაფიცის მოსულიერებას ცდილობს: სახელოთი თვალზე ცრემლს წმენდს, სახელს ჩასძახის, ცდილობს თავისი თავი გაახსენოს. ცოტა რომ მოსულიერდება, ტარიელი იცნობს ძმადნაფიცს და გადაეხვევა. მაგრამ ადგომა და წასვლა აღარც სურს და აღარც შეუძლია. მას გადაწყვეტილი აქვს აქ, ამ მინდორში მოკვდეს, რათა შემდეგ —საიქიოში თავის დაკარგულ ნესტანს შეეყაროს. არც ავთანდილის ბრძნული დარიგება, არც მისი ცრემლიანი მუდარა არ სჭრის: ტარიელს, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, უკვე „სიკვდილი ახლავს", მას არ ძალუძს ავთანდილის ბრძნულ რჩევას მიჰყვეს, მისი ტანჯვა იმდენად მძაფრია, რომ სხვა, დალხინებული ადამიანი მას ვერ გაუგებს.

*ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა (გ ა გ ი ჟ ე ბ უ ლ ს) შენთა*
*სიტყვათა სმენისა,*
*რა ადვილად გიჩნს (ა დ ვ ი ლ ი გ გ ო ნ ი ა) მოთმენა*
*ჩემთა სასჯელთა თმენისა,*
*აწ მივსწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.*

ასე პასუხობს ტარიელი ავთანდილის შეგონებას. ავთანდილის მზრუნველობა გონდაკარგულ ტარიელს მხოლოდ აბრაზებს. „მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს (შ ე ნ თ ვ ი ს ა რ მ ც ა ლ ი ა), არცაღა ვახლავ თმობასა" (მ ე ტ ს ა ც ა ღ ა რ მ ო გ ი თ მ ე ნ), — ასეთია ტარიელის უკანასკნელი სიტყვები.

მაშინ ავთანდილი ხერხს ხმარობს. იგი ეუბნება ტარიელს, რომ, თუ სიკვდილი გადაუწყვეტია, ავთანდილი ხელს აღარ შეუშლის, ოღონდ ერთსა სთხოვს: ერთხელ კიდევ ეჩვენოს თავის მეგობარს ამხედრებული, რათა ავთანდილმა მისი სახე ხსოვნაში შეინახოს. ავთანდილმა იცის რომ ადამიანი მანქანა არ არის, რომ სხვაა კაცის მხნეობა მაშინ, როცა იგი ფიზიკურად ირჯება, და სხვაა მაშინ, როცა ადამიანი უმოქმედოდ წევს და მხოლოდ კაეშანს ეძლევა. მართლაც, დიდი ხვეწნის შემდეგ, ტარიელი ამ უკანასკნელი საწადლის შესრულებას დათანხმდა და ამან თავისი ნაყოფი გამოიღო:

*ცხადად უთხრა: ,,შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა'';*
*მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა,*
*მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძვრევინა,*
*ხანი წარვლეს სიარულმან მოჯობება დააჩინა.*

მომჯობინებულ ტარიელს უკვე სულ სხვაგვარად ესმის ავთანდილის ლაპარაკი. ავთანდილის დარიგებამ ამჯერად უკვე თავისი გაიტანა: ტარიელი ისევ სიცოცხლისკენ მობრუნდა და ნესტანის პოვნის იმედი ხელახლა გაეღვიძა.

ეს პატარა ეპიზოდი გვიჩვენებს, თუ როგორ სათუთად და ღრმად ესმის რუსთაველს ადამიანის ბუნება, მისი სულის მოძრაობა. რუსთაველი ისე არ ხატავს ამ გმირს, როგორც გმირებს ხატავს შუა საუკუნეების მწერალთა უმეტესობა: ტარიელი ,,ლომია'', გმირია და ბრძენია, მაგრამ იგი ადამიანია, იგი არაა აღჭურვილი არც ზეადამიანური ძალით, არც ზეადამიანური სიმტკიცით, არც ზეადამიანური გამძლეობით. რუსთაველს რომ თავისი გმირები ამ ადამიანური სისუსტეების გარეშე დაეხატა, ტარიელმა და ავთანდილმა მხოლოდ გამარჯვება რომ იცოდნენ და, ამავე დროს, ბუნებრივი ადამიანური წუხილი რომ არ აწუხებდეთ, მაშინ ისინი მკითხველში მხოლოდ გაკვირვებას გამოიწვევდნენ და არა სიმპათიას. მაგრამ რუსთაველის გმირები აღტაცების გარდა მკითხველში სიყვარულსა და თანაგრძნობასაც იწვევენ, —ისინი ჰ უ მ ა ნ ი ს ტ უ რ ა დ დახატული გმირები არიან.

რუსთაველის ეპოქის ავტორები ამბის გადმოცემისას, ჩვეულებრივ, მთავარ ყურადღებას სიუჟეტის განვითარებას აქცევენ ხოლმე. გამონაკლისი ამ საერთო წესიდან შუა საუკუნეთა ლიტერატურაში ცოტაა. ის მცირერიცხოვანი ავტორები, რომლებიც გმირთა ფსიქოლოგიასაც ჯეროვან ყურადღებას უთმობენ, — მაგალითად, ფირდოუსი, დანტე, ვოლფრამ ფონ ეშენბახი, — დღეს მსოფლიო ლიტერატურის მნათობებად არიან აღიარებულნი. საინტერესო ამბის გადმოცემასთან ერთად, რუსთაველი არასდროს არ ივიწყებს ადამიანთა სულის მოძრაობას. იმ შემთხვევაში, როცა მკითხველისათვის ცხადი არ არის, თუ რატომ მოიქცა გმირი ასე, და არა სხვანაირად, რუსთაველი საგანგებოდ ჩერდება მოქმედების ამ მხარეზე, რაღაცას შენიშნავს, თითქოს სხვათა შორის, რაღაც პოეტურ სახეს იხმარს, რაღაც ეპიზოდს ჩაურთავს, რათა თვალნათლივ დაგვანახვოს გმირის სულიერი მდგომარეობა.

მაგალითად, პოეტს სურს გვიამბოს, თუ როგორ შენიშნა დიდვაჭრის ცოლმა ფატმანმა ქალაქის ნაპირზე მომდგარი ნავი, რომლითაც შავ მონებს ნესტან-დარეჯანი მიჰყავდათ. ამ პატარა ამბის გადმოცემისას რუსთაველი იმით არ კმაყოფილდება, რომ გვითხრას, — ფატმანმა შემთხვევით ზღვისკენ გაიხედაო. ფატმანისაგან ნესტანის დანახვას წინ უსწრებს მთელი ეპიზოდი, რომელიც ამ ამბის შემზადებასთან ერთად გვიჩვენებს ვაჭართა ქალაქის ცხოვრებას, აქაური მოსახლეობის დროსტარებას და, ამავე დროს, გვიხატავს ფატმანის პიროვნებასა და ხასიათს. დიდი დღესასწაულის — ნავროზობის აღსანიშნავად ფატმანი ვაჭართა ცოლებს პატიჟობს და მათს საზოგადოებაში ლხინს ეძლევა: ,,ვიმღერდი (ვ თ ა მ ა შ ო ბ დ ი) და ვყმაწვილობდი, ვიცვალებდი რიდეთმასა''. უეცრად ფატმანს უმიზეზოდ სევდა ერევა. ცხოვრებისგან განებივრებული ფატმანი არ ცდილობს ამ სევდის დამალვას და, მარტოდ დარჩენილი, თავისუფლად ჰყვება თავის გუნებას:

*ვაჭრის ცოლთა ვუმასპინძლე მხიარულად, ამოდ, დურად,*
*სმასა ზედა უმიზეზოდ გავხე რასმე უგემურად,*
*რა შემატყვეს, გაიყარა, სხდომილიყო რაცა პურად.*

*მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად.*
*უკმოვახვენ სარკმელნი (გ ა მ ო ვ ა ღ ე ფ ა ნ ჯ ა რ ა) და*
*შევაქცივე პირი გზასა,*
*ვიხედვიდი, ვიქარვებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა.*

მთელი ეს პატარა ამბავი —ფატმანის გუნების უმიზეზოდ შეცვლა, — შუასაუკუნეებში მწერლის ყურადღებას იშვიათად თუ დაიმსახურებდა. რუსთაველისთვის ამ პატარა ამბავსაც დიდი მნიშვნელობა აქვს: მას ყველაზე მეტად ადამიანის ფსიქოლოგია აინტერესებს. ამით ,,ვეფხისტყაოსანი'' თანამედროვე ლიტერატურას ჰგავს.

მხატვარი
სერგო
ქობულაძე



ხმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა ხოზასა,
თავსა გადავკარ, მოცავკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა.

# საზოგადოებრივი ცხოვრება

,,ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება უცხო ქვეყანაში, ძირითადად ინდოეთსა და არაბეთში ხდება. მაგრამ, სინამდვილეში, პოემაში არა ამ ქვეყნების ცხოვრება, არამედ რუსთაველისდროინდელი საქართველოს ცხოვრებაა დახატული. არაბეთისა და ინდოეთის სამეფო კართა ზნეჩვეულებანი საქართველოს სამეფო კარის ზნეჩვეულებებია, რომელთაც პოეტი ზედმიწევნით იცნობს. პოემაში დახატული რთული ურთიერთობები მეფესა და კარისკაცებს შორის იმგვარია, როგორიც იმ დროის საქართველოში იყო მიღებული. ამ ურთიერთობათა და ამ ზნეჩვეულებათა გადმოცემაშიც რუსთაველი ნამდვილად რეალისტი მხატვარია. იგი სინამდვილის უტყუარ სურათს გვიხატავს.

ავიღოთ, მაგალითად, ტარიელისა და ინდოეთის მეფის ურთიერთობა. ტარიელის მამამ, ინდოეთის ერთი მეშვიდედის სრულუფლებიანმა მეფემ, თავისი სამეფო ნებაყოფლობით ჩააბარა დანარჩენი ინდოეთის მფლობელს — ფარსადანს. სამაგიეროდ, ფარსადანმა, რომელსაც ვაჟიშვილი არა ჰყავს, ტარიელი ,,შვილად გაზარდა“, ტახტის მემკვიდრედ აღიარა, მამის სიკვდილის შემდეგ მას ამირბარობა ანუ სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო თანამდებობა უბოძა. მეფეს უყვარს თავისი გაზრდილი, ტარიელის ავადმყოფობა მას ზარსა სცემს. მაგრამ, როცა საქმე ტახტის მემკვიდრეობაზე მიდგა, ფარსადანი ღალატობს ტარიელის ინტერესებს და თავისი ასულის — ნესტანისათვის ეძებს საქმროს, რომელიც ინდოეთის ტახტზე დაჯდება. მეფე-დედოფლის არჩევანი ხვარაზმის შაჰის ძეზე შეჩერდა. ისინი მოსაჩვენებლად იწვევენ ვეზირთა თათბირს ტარიელის მონაწილეობით, თავზე ახვევენ მათ თავიანთ გადაწყვეტილებას, თუმც კარგად იციან, რომ საჩოთირო საქმეს სჩადიან.

*რომე პირველვე დაესკვნა (ადრევე გადაეწყვიტათ) მათ ესე შეეტყვებოდა,*
*ერთმანერთსაცა უჭვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა (თქმისაც რცხვენოდათ);*

ტარიელსა და მეფეს შორის, ამგვარად, წინააღმდეგობა ჩნდება: ტარიელს ტახტსაც ართმევენ და სატრფოსაც. ტარიელი, რაღა თქმა უნდა, არც ერთს სთმობს, არც მეორეს. ნესტანთან შეთანხმებით, იგი თავის ციხეს ამაგრებს და მზადაა მეფეს იარაღით შეებრძოლოს. მაგრამ ამ კონფლიქტის განმავლობაში არც ტარიელს, არც მეფეს ერთ წამს არ ავიწყდებათ კარის ეტიკეტი — ერთიმეორისადმი მიმართვის სავალდებულო ფორმა. ორივეს ახსოვს, ამავე დროს, ინდოეთის ინტერესებიც, რომელსაც მათი წაკიდების შედეგად საშიშროება მოელის. ხელმწიფე მხოლოდ საყვედურს უთვლის: ხვარაზმშას ,,უბრალო სისხლი“ ჩემს ,,სახლს“ ანუ ოჯახს ვალად რად დაადეო, და ჩივის, რომ ტარიელთან ტკბილი მამა-შვილობა დაკარგა. ტარიელის პასუხი თავაზიანობის, ტაქტიკისა და, ამავე დროს, დიპლომატიურ ფორმაში შენიღბული მტკიცე ულტიმატუმის ნიმუშია:

*მე შევუთვალე: ,,მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა, (სპილენძზე მაგარი ვარო)*
*თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?*
*მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს (უნდა იყოს) მქნელი სამართალისა*
*მე თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!*

*ვერ ნათნევ (ვერ გაამებ, ვერ მოგატყუებ), თქვენმან კეთილმან, აწ ესე არ მართალია (სამართლიანი არ არის),*
*ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია.*
*ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, მომხვდების რა ნაცვალია?*
*სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?“*

ეს შეთვლა-შემოთვლა ხდება, როცა ტარიელი უკვე განუდგა მეფეს და მზად არის მის ლაშქარს ხმლით შეებრძოლოს. ეს ურთიერთობა მაინც ფრთხილია, აწონილ-დაწონილი. თავისი შინაარსის მიხედვით, მტრული მიმართვა, სავალდებულო ფორმის ანუ ეტიკეტის მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული, ამ ეტიკეტში საქართველოს მეფე-დედოფალთა ურთიერთობისა და ურთიერთმიმართვის ნორმები აისახება.

პოემის სხვა ეპიზოდი — ვეზირისაგან ავთანდილის შუამავლობა როსტევან მეფის წინაშე — კიდევ უფრო საინტერესოა თავისი პირუთვნელი რეალიზმით, რომელიც კარზე გამეფებულ ურთიერთობებს ხატავს. რუსთაველმა შექმნა კეთილი, მაგრამ ეშმაკი და გაიძვერა, ოქროსა და საკუთარი თავის მოყვარული კარისკაცის დაუვიწყარი სახე. ავთანდილი ცრემლით ევედრება ვეზირს, როსტევანთან უშუამავლოს და ტარიელთან წასვლის ნება გამოსთხოვოს, ამავე დროს, ,,წითელს“, ანუ ოქროს, ჰპირდება. იგი დარწმუნებულია, რომ მისი წინადადება ვეზირს არ შეურაცხყოფს. ვეზირს ამის გაგონებაც



ყოვლნით კლდეა გარეშემო მტერი ვერა მოედების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა, — იგი სიცილითა და ხუმრობით ეუბნება ავთანდილს: — შენი ოქრო შენვე გქონდეს, მე თუ ასეთი თხოვნით შევალ მეფესთან, უსათუოდ მომკლავს და ოქროც აღარ დამჭირდებაო. ბოლოს, ვეზირი მაინც ლბება, — როგორც თვითონ ამბობს, მას ავთანდილის სიბრალული ამოძრავებს; თუმცა, ავთანდილისადმი თანაგრძნობის გარდა, ოქროც ხიბლავს. ვეზირი დარწმუნებულია: თუ მეფეს მისი დათხოვნა გადაწყვეტილი არა აქვს, მხოლოდ ამ თხოვნის გულისთვის არ დაითხოვს (ამას ავთანდილიც დიპლომატიურად შეახსენებს ლაპარაკისას).

ვეზირის მოციქულობას როსტევანის საშინელი რისხვა მოჰყვა, — ვეზირი ძლივს „გამომელდა" მეფის სადგომიდან, მაგრამ შემთხვევას ხელიდან არ უშვებს რომ ავთანდილს თავისი თავდადება შეახსენოს.

*ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ*
*იწურვებს,*
*მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა*
*შეიურვებს (დ ა ი მ წ უ ხ რ ე ბ ს)?*
*ვინ არ მისცემს ქადებულსა (შ ე პ ი რ ე ბ უ ლ ს),*
*მოურავსა (დ ა მ ხ მ ა რ ე ს) მოიმდურვებს,*
*თქმულა: ქრთამი საურავსა (ს ა ქ მ ე ს) ჯოჯოხეთსცა*
*დაიურვებს (ჯ ო ჯ ო ხ ე თ შ ი ც მ ო ა წ ყ ო ბ ს).*

ვეზირის სახე ცოცხალიცაა და სამეფო კარისთვის — ტიპიურიც, ერთსა და იმავე დროს. რუსთაველისდროინდელი ლიტერატურა, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში, მეფისა და დიდებულთა ურთიერთობის აღწერაში ასეთ რეალისტურ სცენებს არ ხატავს. ეს ურთიერთობები აქ უფრო განყენებულად, სქემატურადაა ხოლმე მოცემული: ზოგი დიდებული ერთგულია, ზოგი — არა, ზოგი მტერია, ზოგი მოყვარე და ა. შ. „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით კი ჩვენ მაშინდელი საზოგადოების ნამდვილი სურათი, მაშინ გამეფებული ნამდვილი ურთიერთობები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. რუსთაველი თავისი შემოქმედებით ამ შემთხვევაშიც თავის დროს ბევრად უსწრებს და უფრო გვიანი ხანის ლიტერატურას უტოლდება, რომელიც შეგნებულად ცდილობს ხოლმე თავისი ეპოქის მართალი სურათი დახატოს.



# რუსთაველის ნაკადული

მთის ძირამდე, სხივთა ოქროს ჭავლის ღვარში,
ელავს ველი ყვავილებით დაბარდული,
ელვასავით ოკრობოკრო სადინარში
მოკამკამებს, მორაკრაკებს ნაკადული.

მოკამკამებს გრილი სიოს ადევნებით,
მორაკრაკებს ბაღ-ვენახთა შესახვედრად.
ვიცი, ვიცი რად აჟრჟოლებს ასე ვნებით,—
ტყეში სადმე ნუკრი ბაგეს შეახებდა.

ტალღა ტინზე ბატკანივით გადმოხტება,
ბროლის მძივებს შემომაყრის გახუმრებით,
ამ სიტურფის, ამ სიწმინდის გამო ხდება—
მე რომ ხშირად მის ნაპირებს ავუყვები.

ალ. დიდებაშვილი.

## შეცდომის გასწორება

„პიონერის" მე-6 ნომერში, წერილში — „ვეფხისტყაოსნის ენა", მე-11 გვერდზე, პირველ სვეტში, ზემოდან მერვე სტრიქონის შემდეგ გამოტოვებულია ეს ნაწილი:

**„ვეფხისტყაოსანი" მოქმედებითი გვარის ზმნათა თურმეობითი პირველის წარმოების საკითხში ძველ ქართულსაც ეკედლება და ახალსაც. — ავ, — ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობითი პირველის წარმოებისას მთლიანად ძველი ქართულის წესია გატარებული: I-II პირში მეშველი ზმნა არ იხმარება. მაგ. მე მოვუკლავ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა (150,1), თუცა არ მიცნობ, გინახავ (288,3), მე დავუწვავ ამით ალსა (517,4).**

**სხვა ტიპის ზმნათა თურმეობითი კი უკვე ახალ ქართულისებურად იწარმოება: მესამე პირში ძველი იეს დაბოლოების ნაცვლად გვაქვს ი ა: უქნია, მოუწერია... პირველ-მეორე პირში კი მეშველი ზმნაა გამოყენებული: აწ მოყვარე გიპოვნივარ (249,4), აწ მიპოვნიხარ უებრო (992,2), გავუშვივარ (777,3), შეუპყრიხარ (128,4).**




# გიყვარდეთ მუსიკა!


პავლე ხუჭუა,
პროფესორი


მუსიკა!..

რაოდენ მდიდარი და ნაირფეროვანი შინაარსის შემცველია ეს ერთი სიტყვა! მისი ხსენებისთანავე თვალწინ წარმოგვიდგება ხელოვნების ამ დარგის მრავალი სახეობა: მუსიკა ხალხური, სოფლად და ქალაქად მრავალი საუკუნის მანძილზე რომ იხვეწებოდა და, სრულყოფილი ნიმუშების სახით, თაობებიდან — თაობებზე გადადიოდა; მუსიკა პროფესიული — შექმნილი ყველა დროის გენიალური კომპოზიტორების მიერ, რაც გვატკბობს და გვამდიდრებს სულიერად. მუსიკა ვოკალური და ინსტრუმენტული, საოპერო, სიმფონიური, კამერული, საესტრადო, საცეკვაო.. ან თუნდაც ეროვნულობის მიხედვით: მუსიკა ქართული, რუსული, უკრაინული, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ნორვეგიული, ჩინური, ინდური და ა. შ. განწყობილების მიხედვით: მხიარული, სევდიანი, ტრაგიკული, საზეიმო, საგმირო, ჰიმნური, სახუმარო...

ახლა წარმოვიდგინოთ მუსიკა მისი შესრულების თვალსაზრისით. რა დიდ მრავალფეროვნებასთან გვაქვს ამ მხრივ საქმე! აგერ, მწყემსი უსტვენს სალამურს ან გაისმის ჩვენი დიდებული ცალფა სიმღერა „ურმული", ან მევიოლინე აკვნესებს ვიოლინოს — საკრავთა ამ „დედოფალს". ეს არის სოლო. იმ შემთხვევაში, როდესაც პიანისტი, ვიოლინისტი და ვიოლონჩელისტი ერთად უკრავენ — ეს არის ტრიო. არსებობს კიდევ კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი და ა. შ. ყველა ესენი მიეკუთვნებიან ე. წ. კამერულ მუსიკას, რაც მკვეთრად განსხვავდება საოპერო, სიმფონიური და საგუნდო მუსიკისაგან. არის აგრეთვე სასულე ორკესტრი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სამხედრო პარადები, ჯარის სვლა, საზაფხულო პარკებში სახალხო სეირნობა.

როგორც ვხედავთ, მუსიკას მრავალგვარი სახეობა გააჩნია. ზოგი მათგანი (როგორც, მაგალითად, საესტრადო, ჯაზური, საცეკვაო, გასართობი) ადვილი მოსასმენია, რადგან არ საჭიროებს მსმენელის ყურადღების დაძაბვას. მაგრამ, ეგრეთწოდებული სერიოზული პროფესიული მუსიკის აღქმა, მისი შინაარსისა და მხატვრული ღირსებების გაგება მსმენელისაგან ბევრ რამეს მოითხოვს. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

უაღრესად მნიშვნელოვანია მუსიკის როლი ადამიანის, საზოგადოების, ერის ცხოვრებაში. ჩვენ ყოველგვარი ხელოვნების მოტრფიალე და პატივისმცემელი უნდა ვიყოთ. ვის არ ახარებს კარგი სურათი, იქნება ეს ზეთის საღებავებით თუ აკვარელით ნახატი, ფრესკა თუ გრაფიკა. რაც მეტ ხანს ვუყურებთ სურათს, ქანდაკებას, დიდი ფორმის მხატვრულ ქმნილებას ან მინიატურას, სულ ახალ და ახალ ღირსებებს აღმოვაჩენთ ხოლმე მათში, ვტკბებით ამ უსიტყვო, მაგრამ მრავლისმეტყველი ნაწარმოებით. ან ავიღოთ პოეზია, სადაც განსაცვიფრებელ მთლიანობაშია მოცემული აზრი და გრძნობა, სიტყვათა ჯადოსნური განლაგება, — დამორჩილებული გარკვეული მეტრის, რიტმისა და რითმების კანონებისადმი. ვის არ აღაფრთოვანებს ღრმა შინაარსის სპექტაკლი, რომელიც გადაგვიშლის ხალხის გმირული წარსულის ეპიზოდებს, ადამიანის მძაფრ სულიერ სამყაროს. ჩვენ გვხიბლავს ხუროთმოძღვრება, მთელი თავისი ნაირსახეობით, კონსტრუქციების ლოგიკური გამართულობით, ზოგჯერ დიდებული გარეგნობით (სასახლეები, ძველი ციხე-სიმაგრენი და მონასტრები), ზოგჯერ კი — მიმზიდველი სიკეკლუცით, „მომღიმარობით".

ხელოვნების ყოველ დარგს თავისთავადი, შინაარსობრივ-ესთეტიკური მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. მაგრამ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ადამიანთა დაახლოების, მათი სულიერი დანათესავების საქმეში ხელოვნების ვერც ერთი დარგი ვერ შეედრება მუსიკას.

პირველი, რაც ადამიანს აკვანშივე ჩაესმის — ეს არის მუსიკა, დედის ტკბილი ნანათი გამოხატული. ნორჩი ასაკიდან მოყოლებული — სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ადამიანი ერთ დღესაც არ რჩება უმუსიკოდ: ხან რაღაც მელოდიას ღიღინებს თავისთვის, ხან ტოლ-ამხანაგებს შეუწყობს ხმას და მღერის. მუსიკა თან ახლავს ადამიანს სიხარულსა თუ მწუხარებაში, გართობისა და დასვენების ჟამს. როდესაც რაიმე გვიხარია, მხიარული მუსიკისაკენ მივისწრაფით; როდესაც ადამიანი სევდითაა შეპყრობილი, მაშინ მას ნაღვლიანი მუსიკა იზიდავს, რადგან მასში იგი ხედავს თავის მესაიდუმლეს, ჭმუნვის გამზიარებელს, ერთგულ მეგობარს.

ადამიანზე მუსიკის დიდი ზეგავლენის ძალა ჯერ კიდევ უხსოვარ დროში იყო შემჩნეული. ძველ ჩინეთში, ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ, ასეთ აზრს გამოთქვამდნენ:

— როგორი ბგერებიცაა, ისეთივე მელოდიაა; როგორი მელოდიაცაა — ისეთივე მუსიკაა; როგორი მუსიკაცაა — ისეთივე სახელმწიფო წყობილებაა.

გაიკვირვებთ: სად მუსიკა და სად სახელმწიფო წყობილება? მაგრამ, თუ ღრმად დაუკვირდებით ჩინელების ამ გამონათქვამს, დარწმუნდებით მის სისწორეში. ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ზოგიერთი თანამედროვე დასავლეთური ქვეყნის ქაოტური, უნიათო, არაფრისმთქმელი მუსიკა...

ძველი ბერძნები, რომლებმაც მაღალ საფეხურზე აიყვანეს მეცნიერება და ხელოვნება, განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საკითხს. მათ ზუსტად ჰქონდათ დადგენილი მუსიკის ნიმუშები, მელოდიის, კილოს, რიტმისა და ტემბრის მიხედვით, რომლებიც სრულდებოდა სკოლებში, ფიზიკური ვარჯიშობისას თუ წარმართულ ტაძრებში წირვის დროს.

ცნობილია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მუსიკას ჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიაში, განსაკუთრებით კათოლიკურში, მრევლზე სასურველი ზეგავლენის მოხდენის მიზნით. მშრომელ ხალხს ოდითვე უყვარდა ენერგიული, გმირული სულისკვეთებით აღსავსე სიმღერები, რომლებიც ამხნევებდნენ მას გაბატონებული კლასების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა", „სიმღერა უტუ მიქავაზე", „მარსელიეზა", „ინტერნაციონალი" და მრავალი მსგავსი სიმღერა აღაფრთოვანებდა რევოლუციური სულისკვეთებით შეპყრობილ მასებს.

მოვიგონოთ რევოლუციამდელი საქართველო, როცა დევნიდნენ მშობლიურ ენას, ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურას. მოწინავე მწერლები, საზოგადო მოღვაწენი ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართველ ხალხში განემტკიცებიათ პატრიოტული გრძნობა, ურყევი რწმენა ნათელი მომავლისადმი. ამ მოძრაობაში, რომელსაც სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი, დიდ როლს თამაშობდა მუსიკა. ისეთი სიმღერები, როგორიცაა: „აღსდექ, გმირთ-გმირო", „ქართველო, ხელი ხმალს იკარ", „სამშობლო" (ანდრია ყარაშვილის მუსიკა, დამუშავებული ზაქარია ფალიაშვილის მიერ), „სულიკო" და სხვ., ძალას მატებდნენ პატრიოტულად განწყობილ მასებს, აერთიანებდნენ მათ მომავალი ბრძოლებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია მუსიკის როლი სამამულო ომის წლებში. შემთხვევით როდი იმართებოდა კონცერტები უშუალოდ ფრონტებზე, საბრძოლო გარემოცვაში, პარტიზანთა ბანაკებში, ჰოსპიტლებსა და სამობილიზაციო პუნქტებში. მ. ბლანტერის „კატიუშა", ის. დუნაევსკის „სიმღერა სამშობლოზე", ა. ალექსანდროვის „წმიდა ომი", გ. კოკელაძის „სიმღერა კაპიტან ბუხაიძეზე" და სხვა მსგავსი პიესები აღაფრთოვანებდა სახელოვანი საბჭოთა არმიის მებრძოლებს ომის პირველი დღეებიდანვე.

წარმოიდგინეთ ახალგაზრდობისა და სტუდენტების მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში, ბუდაპეშტში, ვენაში ან ვარშავაში. ტრიბუნაზე გამოდიან ორატორები, რომელნიც სხვადასხვა ენაზე მოუწოდებენ ახალგაზრდებს საყოველთაო მშვიდობისა და მეგობრობისაკენ. თარჯიმნები იქვე თარგმნიან ორატორთა სიტყვებს. მაგრამ აი, გაისმა საბჭოთა კომპოზიტორის — ნოვიკოვის ყველასათვის ცნობილი „მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი". აგუგუნდა ეს შესანიშნავი მასობრივი სიმღერა, რომელსაც ათასობით ახალგაზრდა აჰყვა. ხელი-ხელჩაკიდებულნი, თვალებგაბრწყინებულნი მღერიან ფრანგები და ჩეხები, რუსები და ზანგები, ინგლისელები და ვიეტნამელები, გერმანელები და ჩინელები, რომელთაც აერთიანებთ ერთი გრძნობა, ერთი მიზანი — უფროსებთან ერთად იბრძოლონ მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, მუსიკა მარტო გართობის საშუალება როდია, მას შესწევს ძალა — გააერთიანოს ადამიანები, ხალხში გააღვივოს ამაღლებული გრძნობები, განამტკიცოს მებრძოლებში რევოლუციური, პატრიოტული სულისკვეთება, გაიტაცოს მასები საერთო მიზნებისაკენ.

მუსიკას ძველთაგანვე იყენებდნენ როგორც ავადმყოფთა მკურნალობის ერთ-ერთ საშუალებას. ამას მოწმობს ჩვენებური ხალხური სიმღერები: „იავნანა", „საბოდიშო", „ბატონების სიმღერა" და სხვ. დღესაც, ზოგიერთ ფსიქიატრიულ კლინიკაში მუსიკა წარმატებით გამოიყენება ფსიქიურად დაავადებულთა სამკურნალოდ. მუსიკის ამ თვისებაზეა დამყარებული ძველებური წესი: განსვენებულთან გამოთხოვებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ზარს (სიმღერით ტირილს), სამგლოვიარო მუსიკას. ასეთი ხასიათის მუსიკა, როგორც „თანაგრძნობის" გამოხატულება, ჭირისუფალს უმსუბუქებს საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას.

ან კიდევ ასეთი მაგალითი. სამხედრო ნაწილმა დაამთავრა საველე ვარჯიში. დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცები ყაზარმებისაკენ მიემართებიან. აი, მიუახლოვდნენ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს. სამხედრო ორკესტრმა მარში დაუკრა. მებრძოლნი მწკრივში გასწორდნენ, წელში გაიმართნენ და მტკიცე ნაბიჯით იწყეს სვლა. რამ დაავიწყა მათ დაღლილობა, რამ შემატა ძალა და ენერგია? — მუსიკამ!..

ვერ დავასახელებთ ხელოვნების რომელიმე სხვა დარგს, რომელსაც შეეძლოს ცხოველთა სამყაროზე გავლენის მოხდენა, მუსიკა კი „ესმით" ჩიტებს, გველებს, ირმებს, დელფინებს, სპილოებს, ობობას, მუსიკა მოქმედებს პირუტყვზე...

— ეს ყოველივე — კარგი, — იტყვის მკითხველი, — მაგრამ რაში მდუმა-



10036,

რეობს მუსიკის ზეგავლენის ძალა? რა ელემენტებისაგან შესდგება მუსიკა და როგორია თითოეული ამ ელემენტის მნიშვნელობა ამა თუ იმ განწყობილების, მხატვრული სახით გადმოცემისას?

ვუპასუხოთ ამ კითხვებზე.

მუსიკა — ბგერების ხელოვნებაა. ბუნებაში მრავალი სახის ბგერებია: ქარის ზუზუნი, ზღვის ტალღების გრიალი, მეხის გრგვინვა, ხის ფოთლების შრიალი, ფრინველთა სტვენა, ცხოველთა ღმუილი და ა. შ. ქალაქ ადგილებში ამას ზედ ერთვის ათასგვარი ხმა, რომელსაც გამოსცემს ტრანსპორტი, ხოლო სოფლად — ტრაქტორები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს — ხმაურია, რასაც არაფერი აქვს საერთო მუსიკალურ ბგერებთან. ეს უკანასკნელნი ხმაურისაგან განსხვავდებიან ბგერათა სიმაღლით (მაღალი, საშუალო, დაბალი), ინტონაციური გარკვეულობით, სიძლიერით (სუსტი, საშუალო, მძლავრი ხმოვანება) და ტემბრით, ანუ ხმის შეფერადებით.

მუსიკის ძირითადი ელემენტებია: მელოდია, რიტმი, ჰარმონია და ტემბრი. მელოდია — მუსიკის მთავარი, ყველაზე ძლიერი და გამომსახველი ელემენტია. იგი მუსიკის სულია.

წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი საოპერო სპექტაკლზე. ერთდროულად აქ გაისმის სოლისტების, გუნდის მღერა და ვეებერთელა ორკესტრის ჟღერა, ორკესტრისა, რომლის ცალკეული საკრავები და ინსტრუმენტთა ჯგუფები (ვიოლინოები, ალტები, ჩელოები, კონტრაბასები, ვალტორნები და სხვ.) ზოგჯერ სხვადასხვა მელოდიურ ხაზს ასრულებენ. მაგრამ ჩვენ ამ დროს, ძირითადად, მხოლოდ ერთი, წამყვანი მელოდია გვესმის, რომელსაც ვიმახსოვრებთ და ვიგონებთ შემდგომ. მარტო მელოდიის გამომსახველობა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანს ზოგჯერ სოლო სიმღერა, ან ერთი სალამურის, ერთი დუდუკის, ერთი ფლეიტის ხმაც კი ხიბლავს. მელოდია აგებულია გარკვეულ ბგერათა თანმიმდევრობაზე. ეს თანმიმდევრობა რომ იყოს არა უთავბოლო, არამედ ორგანიზებული, ამისათვის საჭიროა გარკვეული ზომა, რომელიც განსაზღვრავს მელოდიის მოძრაობას დროის მკაფიოდ განზომილ შუალედში. ასე მაგალითად, ვალსისებური მელოდია სრულდება $^3/_4$ ზომაში (თვლაზე: ერთი, ორი, სამი), მარში — $^2/_4$ ზომაზე (ერთი, ორი), ხორუმი — $^5/_4$ ზომაზე და ა. შ.

რაგინდ სასიამოვნოც არ უნდა იყოს ერთი მომღერლის ან დამკვრელის მიერ შესრულებული ცალკეული მელოდია, მისგან მიღებული სიამოვნება საგრძნობლად მატულობს, თუ იგი სრულდება რაიმე საკრავის (როიალი, გიტარა, ჩონგური) ან საკრავთა ანსამბლის თანხლებით. ასეთ შემთხვევაში, ეს თანმხლები ხმები, შეხამებულნი ძირითად მელოდიასთან, ქმნიან ჰარმონიას. ჰარმონიული თანხლება შეიძლება იყოს კეთილხმოვანი, კონსონანსური და უხეში, არაკეთილხმოვანი ანუ დისონანსური. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი განწყობილების გამოხატვა სურს კომპოზიტორს.

მუსიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტემბრს, ანუ მუსიკალური ბგერის შეფერადებას, რაც ერთ ხმას განასხვავებს მეორისაგან. ასე მაგალითად: ყოველი ადამიანი ადვილად არჩევს ერთმანეთისაგან სალამურის, ზურნის, როიალის, საყვირის თუ ფანდურის თავისებურ ელფერს ანუ ტემბრს. ვთქვათ, საოპერო თუ სიმფონიური ორკესტრის შესრულებისას ჩვენ მოგვესმა საყვირის მედგარი, ენერგიული ბგერები. საყვირი, ჩვენი წარმოდგენით, დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან, საბრძოლო გმირობასთან, ლაშქრობასთან. ამიტომ, მოვკრავთ თუ არა ყურს საყვირის ხმას, იგი საბრძოლო სულისკვეთების გამოხატულებად მიგვაჩნია; სალამურის ტემბრი კი მოგვაგონებს სოფლის სურათს, ცხვრის ფარას, მწყემსურ იდილიას...

როგორც ვთქვით, პროფესიული მუსიკის ჯეროვანი მოსმენა არცთუ ისე ადვილი საქმეა. მართლაც, თუ ჩვენ გვსურს მუსიკალურ სახეებს ღრმად ჩავწვდეთ, ამოვიკითხოთ, — რისი თქმა სურდა კომპოზიტორს, ამისათვის საჭიროა სმენის იმდენად გაწვრთნა და გამახვილება, რომ მუსიკის მოსმენის პროცესში ერთდროულად ვადევნოთ ყური მელოდიას, რიტმს, ჰარმონიას, ტემპს, ტემბრს. მუსიკალური სმენის განვითარების შემდგომ ეტაპზე უნდა შევძლოთ მკაფიოდ აღქმა მრავალხმიანობისა (ანუ პოლიფონიურობისა) და მუსიკალური ფორმებისა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ რთული მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისას. ამისათვის სრულებით არ არის საჭირო, რომ ყოველი მსმენელი იყოს პროფესიონალი მუსიკოსი. სასურველი კია, ყოველი ახალგაზრდა სიყრმიდანვე ეუფლებოდეს რაიმე ინსტრუმენტის (ჩონგური, ფანდური, სალამური, ფლეიტა, ვიოლინო, აკორდეონი, საქსაფონი, გიტარა, მანდოლინა და სხვ.) დაკვრას, ან მღეროდეს გუნდში, ან რაიმე პატარა ანსამბლში ღებულობდეს მონაწილეობას. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ ხშირად უნდა უსმენდეს რადიო და ტელეგადაცემებს, სხვადასხვა სახის კონცერტებს. მუსიკის მოყვარულთ დიდ დახმარებას გაუწევენ საგანგებოდ გამოცემული წიგნები და ბროშურები მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ. მათში, გასაგები ენით, მოთხრობილია მუსიკის არსი, მისი განვითარების გზები, გამომსახველ საშუალებათა ბუნება, განმარტებულია მუსიკის ფორმები და ჟანრები.

როგორც ხედავთ, სერიოზულ მუსიკაში გარკვევა არაპროფესიონალი მუსიკოსისაგან მოითხოვს მუსიკის ძირითად საკითხებში გარკვევას. ნუ დაიშურებთ ამისათვის დროს და ენერგიას. გახსოვდეთ, რომ მუსიკა ერთიასად აგინაზღაურებთ მის ჯეროვან შეცნობაზე გაწეულ შრომას, იგი თქვენ უსაზღვრო სიამოვნებას მოგანიჭებთ.

გიყვარდეთ მუსიკა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ კორშუნოვი

# პეტკა და მისი ცხოვრება



1

ყველაფერს იფიქრებდა პეტკა, მაგრამ ამას კი არა.

შეიძლება არასასიამოვნო ლაპარაკი მოუხდეს კლასის დამრიგებელ სერაფიმა დიმიტრის ასულთან; შეიძლება დირექტორთან მიიყვანონ; შეიძლება დედა გამოიძახონ სკოლაში, მოუყვნენ მის შესახებ — ასეთი და ასეთიაო.

ყველაფერი ეს გასაგებია. ყველაფერი ეს ნორმალურია.

ჩხუბი იყო?

იყო.

მაშასადამე, ახლა ზომებს მიიღებენ. მართალია, განსაკუთრებული ჩხუბი არ ყოფილა. წაუთაქა ჟენკას კეფაში, — ეს იყო და ეს. მაგრამ ჟენკას შუბლზე ნაკაწრი აქვს, კარგა დიდი ნაკაწრი, ეს კი ნივთიერი საბუთია.

სერაფიმა დიმიტრის ასულმა პეტკას უთხრა, რომ მას სკოლის დირექტორი იბარებდა.

დირექტორი აქ ახალი იყო, თანაც სრულიად ახალგაზრდა. პეტკამ იგი მხოლოდ ერთხელ ნახა. ახლა კი მეორეჯერ უნდა ნახოს.

არასასიამოვნო შეხვედრაა, მაგრამ რა გაეწყობა, — უნდა შეხვდეს. ჟენკას შუბლზე ნივთიერი საბუთი აქვს.

პეტკა დირექტორის წინაშე იდგა. ყველაფერს იფიქრებდა იგი, მაგრამ ამას კი არა.

დირექტორმა პეტკას რვეული გაუწოდა.

— გამომართვი.

პეტკამ გამოართვა.

— მე აქ ახალი კაცი ვარ. ბევრ ბავშვს ჯერ კიდევ არ ვიცნობ. არც შენ გიცნობ.

პეტკა სდუმდა და დირექტორს მისჩერებოდა.

— მაშ ასე. ამ რვეულში დასწერ, თუ როგორ მიხვედი ასეთ ცხოვრებამდე.

— რა ცხოვრებამდე? — შეეშინდა პეტკას.

— ამხანაგს სცემე. ის ამხანაგი შენზე სუსტია, შენ კი მას სცემე.

— ბევრი უნდა დავწერო? რამდენი გვერდი?

— საქმე სერიოზულია... ოთხი გვერდი.

— იქნებ სჯობს დედა მოვიყვანო? — ფრთხილად ჰკითხა პეტკამ.

— რატომ უნდა მოიყვანო დედა? იჩხუბე შენ და არა — დედაშენმა (პეტკამ თავი დაუქნია, — სწორიაო. იჩხუბა მან და არა დედამ) და შენვე უნდა მოგელაპარაკო. ამისათვის კი საჭიროა გავიგო, რა კაცი ხარ.

პეტკა დაბნეულად უყურებდა დირექტორს.

— სად დავიბადე დავწერო?

— დაწერე.

— როდის დავიბადე — დავწერო?

— დაწერე.

— გვარიც?

— გვარიც.

— კიდევ რა?

— ხომ გითხარი — როგორ მიხვედი-მეთქი ასეთ ცხოვრებამდე.

— რამდენი დღე ვწერო?

— რამდენი დღე?.. ჩვიდმეტ რიცხვამდე. ესეიგი ოთხი დღე. ჩვიდმეტში ჩვენ კრებას ჩავატარებთ.

— მშობელთა კრებას? — იმედიანად იკითხა პეტკამ. — ჩემი დასწრება არაა საჭირო?

— რატომ მშობელთა? შევკრებთ მოწაფეებს, მოვუსმენთ რას იტყვიან ისინი. შენთვის უკეთესია—დაესწრო. იქნებ ვინმე გამოგექომაგოს.

პეტკა სდუმდა.

2

საწერი მაგიდა. მაგიდას პეტკა უზის. გადაშლილია იმ სუფთა რვეულის პირველი გვერდი, დირექტორმა რომ მისცა. პეტკა ხელისგულს ლოყით დაყრდნობია და ფიქრობს...

ოთხი გვერდი! რამდენი ხანი უნდა, რომ იჯდე და წერო? ჩხუბი კი ორი წამი გაგრძელდა. წაუთაქა კეფაში და — გათავდა. ჟენკასთვის შუბლში არც დაურტყამს. ჟენკა თვითონ მიენარცხა კარადას — რიკოშეტით. გამხდარია ჟენკა და, აი, რიკოშეტი გამოვიდა.

რაღა მაინცდამაინც ჟენკა მოხვდა ხელში?.. იჯექი ახლა და იწვალე. ჟენკა არხეინად დასეირნობს. შენ კი იჯექი და მოიგონე შენი ცხოვრება, თავიდან ბოლომდე.

ეზოში ბიჭების ჟრიამულია. ბიჭებს არაფერი აქვთ სადარდებელი, მათ არ მოხვედრიათ ხელში ჟენკა. და არც დირექტორი შეხვედრიათ ასეთი.

ზის პეტკა და იგონებს თავის ცხოვრებას. ცხოვრება კი ბუნდოვნად ახსენდება. არა, გახსენებით კი ახსენდება, მაგრამ იგი უნდა დაიწეროს კიდეც! და დაიწეროს აკურატულად, შეცდომების გარეშე: შესამოწმებლად ხომ ვერავის ვერ მისცემ.

დედა გაოცდება და შეეკითხება — რასა სწერ და რატომაო. მამასაც გაუკვირდება და ისიც შეეკითხება.

სჯობს ისევ გაჩუმდეს და თვითონვე გაართვას თავი როგორმე.

და აი, გამოდის, რომ ცხოვრება ძალიან ნელა, ცუდად ახსენდება. საჭიროა გრამატიკის სახელმძღვანელოს ჩაუკირკიტდეს.

პეტკა ჯერ ხმოვნების ხმარების წესებს ეძებდა: როგორ იწერება ხმოვნები შიშინა თანხმოვნებისა და ასო „ც"-ს შემდეგ. მერე სუფიქსები „იკ" და „ეკ" დასჭირდა: რომელ სიტყვებში იხმარება „იკ" და რომელში „ეკ"; შემდეგ — კნინობითი სუფიქსები „უშკ" და „იუშკ". არა, როგორმე იოლად გავა კნინობითების გარეშეც.

ეზოში ბიჭები ყვირიან. პეტკა მივიდა სარკმელთან, გადაიხედა. რასაკვირველია, ანახლებენ ბურთს, რომელიც ამასწინათ უყიდეს გრიშკა ლოსევს. ის კი, პეტკა, ნაწილაკ „ნე"-შია გაჭედილი. რა დაწეროს — „ნე"?.. ეგებ „ნი" არის საჭირო? პეტკა ისევ ფურცლავს სახელმძღვანელოს. აჰა, ნახა, აი მაგალითებიც:

„Ну как не порадеть родному человеку!"[1]

(გრიბოედოვი).

ნეტა ახლა პეტკას დაეხმარებოდეს ვინმე. სწორედ რომ დროა. Чем ты не молодец?"[2]
არა. ამჟამად პეტკა არ არის ყოჩაღი.
„Да не изволишь ли сенца?"[3]

(კრილოვი).

---

[1] როგორ არ უნდა დაეხმარო ახლობელ კაცსა?

[2] რით არა ხარ შენ ყოჩაღი?

[3] თივას ხომ არ ინებებდით?

არა, პეტკა თივას არ ინებებს.

პირველ დღეს პეტკამ თავისი ცხოვრების ერთი გვერდი დაწერა.

3

მეორე დღეს პეტკა კვლავ განაგრძობდა წერას. ისევ გრამატიკა; ისევ თავსართები, ორმაგი თანხმოვნები, მონაცვლეობა, დაბოლოვებები. და კიდევ სინტაქსი — წერტილები და მძიმეები.

და ისევ არავისაგან არაფრის გაგება არ შეიძლება. ასე ყოველგვარ ცხოვრებამდე მიხვალ. კატორღამდეც მიხვალ.

სთხოვოს ჟენკას — მოდი, მიშველე ჟენკა, წამითაქე კეფაში, ან, თუ გინდა, მე თვითონ დავეჯახები თავით კარასდას-მეთქი.

ეზოში ბავშვები ყვირიან: ანახლებენ ბურთს.

პეტკა კი? პეტკა წერს თავისი ცხოვრების მეორე გვერდს.

4

მესამე დღეს პეტკა თავისი ცხოვრების მესამე გვერდს წერდა. წერდა იმაზე, თუ როგორ გაატარა ზაფხული სოფელ კარგანაში, ბიძასთან.

ბიძა საკოლმეურნეო აგურის ქარხანაში მუშაობდა. მუშაობდა პეტკაც: დაყავდა ცხენი, რომელიც ატრიალებდა დიდ ბორბლებს — ორმოში თიხას ურევდა.

პეტკას მოსწონდა აგრეთვე სასადილო შესვენების დროს ფარდულქვეშ ჯდომა, სადაც ერთმანეთზე ეწყო ყალიბიდან ახლახან ამოღებული აგურები. ქუჩაში მზე აჭერს, ცხელა, ფარდულქვეშ კი — სიგრილეა. ეს სიგრილე ნესტიანი აგურებისაგანაა. აგურებზე ტოტებისა და ბალახის ღეროების ანაბეჭდებია. საინტერესოა.

პეტკამ დაწერა ტოტებზე და ბალახზე.

შემდგომ, აგურებს ტრანშეებში გამოწვავენ და ისინი მაგარი და წითელი ხდებიან. პეტკას თვითონ ამოჰქონდა ტრანშეებიდან ჯერ კიდევ თბილი აგურები, რომელთაც ბოლის სუნი ასდიოდათ.

პეტკამ ამაზეც დაწერა.

5

მეოთხე დღეს პეტკა უკანასკნელ, მეოთხე გვერდს შესჭიდებოდა. სარკმლიდან მოჩანდა, როგორ სცრიდა წვიმა, ბავშვები მაინც ყვიროდნენ ეზოში. ისინი ახლა კი არ ანახლებდნენ გრიშკა ლოსევის ბურთს, არამედ უკვე თამაშობდნენ.

ბურთი გატალახიანებულია და ბიჭებიც ტალახში არიან ამოსვრილები: ნორმალური ამბავია. არავის არაფერი არ აქვს სანანებელი, მხოლოდ პეტკას ეცოდება თავისი თავი. მეოთხე გვერდი განსაკუთრებულად გაძალლდა. არავინ მას არ ეხმარება, თივა მას არ ნებავს და, საერთოდ, რასაკვირველია, იგი ყოჩაღი არაა.

„ნი", „ნე", „იკ", „ეკ"...

პეტკა ხელისგულს ლოყით დაყრდნობია — ფიქრობს.

უკვე გვარიც დაწერილია, დაბადების ადგილიცა და წელიც. ყველაფერი დაწერა — პიონერულ ბანაკზეც, აგურის ქარხანაზეც.

— „მოდი ზლარბ ნიკოლოზზე დავწერ, — გადაწყვი-

ტა პეტკამ. — ზღარბი ჩემი იყო, ჩემთან, ჩემს სახლში ცხოვრობდა, ესე იგი ჩემს ცხოვრებასთან კავშირი აქვს“.

„ზღარბ ნიკოლოზს დღისით ეძინა, ღამით კი დარბოდა, — დაიწყო წერა პეტკამ. — აბრახუნებდა ბრჭყალებით და ყველას ძილს უფრთხობდა“.

მაგრამ, როგორ იწერება — „тарахтел“ (აბრახუნებდა)? „тара“... თუ „таро“?..

უნდა შეიცვალოს ეს სიტყვა ისე, რომ მახვილი საეჭვო ასოზე დაეცეს.

პეტკამ დაიწყო სიტყვის შეცვლა:

— ტრახნულ, ტარახნულ, ტარარახნულ. ერთი შეხე, სად გამიყვანა! მაშასადამე, — მაინც „тара“...

„გადავწყვიტე, ნიკოლოზი ისე გამეწვრთნა, — განაგრძობდა წერას პეტკა, — რომ ღამე სძინებოდა, დღე კი — ერბინა, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს“.

წვიმამ იმატა, ხმამაღლა აკაკუნდა მინაზე. პეტკა ადგა და სარკმელთან მივიდა. — ნუთუ კიდევ თამაშობენ?

კი, თამაშობენ, ბედნიერები! დარბიან თავისთვის, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი.

პეტკა დაუბრუნდა მაგიდას.

„ნიკოლოზს ქოჩრიდან ეკლების ცვენა დაეწყო. დედამ თქვა, ნიკოლოზს ვიტამინები აკლიაო, ან შეიძლებაო, უბრალოდ...“

პეტკა ისევ ჩაფიქრდა, როგორ დაწეროს „линяет“ (იქუცება)?

უცებ, გაახსენდა... ოღონდ, სულ სხვა რამ გაახსენდა: როდესაც გრიშკას ბურთს ანახლებდნენ, ბურთი ყვითელი ფერისა იყო.

8

კრება ჩატარდა ზუსტად ჩვიდმეტ რიცხვში. ხალხი ბლომად იყო. რასაკვირველია, მთელი კლასი, სერაფიმა დიმიტრის ასული, დირექტორი და უფროსი პიონერხელმძღვანელი.

გამოდიოდნენ ბავშვები—ლანძღავდნენ პეტკას. სერაფიმა დიმიტრის ასულმაც გალანძღა, უფროსმა პიონერხელმძღვანელმაც. თუმცა იმასაც ამბობდნენ — იმედი გვაქვსო, რომ მომავალში პეტკა არაფერს ამის მსგავსს არ ჩაიდენსო.

კრების დასასრულს გამოვიდა დირექტორი და თქვა, რომ მისი აზრით პეტკა არაა მთლად ხელიდან წასული ადამიანი. რომ იგი, დირექტორი, დაწვრილებით გაეცნო პეტკას წარსულ ცხოვრებას და ეს წარსული ცხოვრება აძლევს იმის იმედს, რომ ამიერიდან პეტკას არაფერი ამის მსგავსი არ შეემთხვევა.

„მო, ყოველი ასეთი შემთხვევის გამო, თხზულების დაწერა თუ მომიხდა...“ — გაიფიქრა პეტკამ.

მაგრამ ეს მან ისე, სხვათაშორის გაიფიქრა.

თარგმნა ვალენტინა ხარჩილავამ.





## დევდორაკის ზვავი

ცნობილია, რომ მყინვარები ნელ-ნელა მოძრაობენ და თანდათან დნებიან. ხშირია შემთხვევა. როცა მყინვარს, სიმძიმის გამო, მოწყდება დიდი ნაწილი და სწრაფად ეშვება ძირს. ამ მოვლენას (ზვავს) ბევრი მიზეზი აქვს, განსაკუთრებით კი ხელს უწყობს ჰაერის დათბობა.

ზვავი ბუნების მრისხანე მოვლენაა. მილიონობით კუბური მეტრი მოცულობის ყინულის მასა საშინელი გრიალითა და სისწრაფით ეშვება ძირს და უდიდეს ნგრევას იწვევს. ზვავები ყველა გამყინვარებულ მთებზე იცის, მათ შორის კავკასიონზეც. მარტო მყინვარწვერის მყინვარებიდან, 1776 წლიდან 1937 წლამდე, 14 დიდი ჩამოზვავება მოხდა.

ყველაზე დიდი და საშინელი იყო 1832 წლის 13 აგვისტოს, დევდორაკის მყინვარიდან წამოსული ზვავი. მისი მოცულობა 15 მილიონ კუბურ მეტრს აღწევდა. ზვავმა ამოავსო მდინარე თერგის კალაპოტი, შეაგუბა წყალი და 8 საათის განმავლობაში წარმოქმნა კარგა მოზრდილი, ღრმა ტბა. წყლის ძლიერი დაწოლით ნაზვავი გაირღვა ქვევიდან და თერგის მოვარდნილმა წყალმა დაანგრია და წალეკა ყველაფერი, რაც დარიალის ხეობაში შეხვდა ძლიერ დაზიანდა საქართველოს სამხედრო გზა. ჩამოზვავებული ყინულის დადნობას ორი წელიწადი დასჭირდა. ამ ზვავით ჩამოტანილი ქვის უზარმაზარი ლოდი ახლაც გდია თერგის ხეობაში (მას „ერმოლოვის ქვას“ უწოდებენ).

ზვავების დამანგრეველი მოქმედების საწინააღმდეგოდ სოფლებისა და გზების მახლობლად მტკიცე კედლებსა და გვირაბებს აშენებენ. ასეთი ნაგებობანი მრავლად გვხვდება საქართველოს სამხედრო გზაზე.

## ყვავილების სახელები—გეოგრაფიულ სახელებად

დედამიწაზე გავრცელებული მრავალი გეოგრაფიული სახელი სხვადასხვა ყვავილების სახელებიდანაა მიღებული, აქედან კი უმრავლესობა ვარდის სახელს ატარებს. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე

მდებარე როდოპის მთები ბულგარულად ვარდების მთებს ნიშნავს, ხოლო ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძული როდოსი ბერძნულად ვარდების კუნძულია.

საქართველოში ვარდისუბნის სახელით ცნობილი ექვსი სოფელია: ლაგოდეხის, თელავის, მცხეთის, ყაზბეგის, დმანისისა და სოხუმის რაიონებში; ბორჯომის რაიონში არის სოფელი ვარდევანი, ხოლო თერჯოლის რაიონში — სოფელი ვარდიგორა; მაიაკოვსკის რაიონში მდებარე ვარციხე ადრე ვარდციხედ იწოდებოდა.

ვარდის გარდა სხვა ყვავილების სახელებით ცნობილი გეოგრაფიული სახელებიც ბევრია: ფლორენცია, ფლორიდა, ადის-აბება და სხვ. ფლორენცია იტალიის ქალაქია. სულხან-საბა ორბელიანი თავის წიგნში „მოგზაურობა ევროპაში“ ფლორენციის შესახებ წერს: „ფლორენცია ყვავილს ჰქვიან და მართლა ქალაქი ყვავილი იყო“.

1886 წელს იმპერატორმა ნეგუს მენელიკ მეორემ ჯარით გაიარა იქ, სადაც ახლა აბისინიის დედაქალაქი ადის-აბება მდებარეობს. იმპერატორის მეუღლეს დედოფალ პანტას ძალიან მოეწონა მთებით გარშემორტყმული, ხშირი ტყით შემოსილი ვრცელი ტაფობი, რომელიც ზღვის დონიდან 2400-2600 მეტრზე მდებარეობს. დედოფლის წინადადებით დედაქალაქი აქ გადმოიტანეს და მისი სახელიც თვითონ დედოფალმა შეარჩია. ადის-აბება აბისინიურად „გაზაფხულის ყვავილს“ ნიშნავს.

თვითონ სიტყვა „ყვავილიდან“ ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებიდან საქართველოში ცნობილია სოფელი ყვავილო (ახმეტის რაიონში) და მწერალ დანიელ ჭონქაძის მშობლიური სოფელი ყვავილი, — დუშეთის რაიონში.

**შ. გოგატიშვილი.**

ფიქრები, ჩანაწერები და გზაზე განცდილი...

# მოყვარე პირში უძრახე...

ამას წინათ, ქუჩაში, ბავშვები დავობდნენ, დიდი აყალმაყალი და შეხლა-შემოხლა ჰქონდათ. დავინტერესდი, ერთი მათგანი მოვიხმე და ვკითხე — რაზე დავობთ, რა მოხდამეთქი?

— არაფერი, ვაჟას ეჩხუბებიან, — მიპასუხა ბიჭმა და ნაბიჯს აუჩქარა. წამოვეწიე, მხარზე ხელი გადავხვიე. ეტყობოდა გაუკვირდა, რომ შევეთამამე, მაგრამ მალე გამიშინაურდა. ძველი ნაცნობებივით გავუყევით გზას.

საუბარი სულ სხვა რამეზე დავუწყე, ვიფიქრე: ეგებ ეუხერხულოს და ჩხუბის მიზეზი პირდაპირ არ მითხრას-მეთქი.

ბიჭი თანდათან გათამამდა, სხაპასხუპით პასუხობდა ყოველ კითხვას; მეც ეს მინდოდა.

— რა გაწყენინათ ვაჟამ?

— ვაჟა ძალიან ცუდი ბიჭია.

— მაინც, რა გაწყენინათ?

— მაბეზღარა, ენატანია... მაგას... — სულს ვეღარ ითქვამდა ჩემი თანამგზავრი.

— ვინ დააბეზღა?

— ვინ არ დააბეზღა. ვისთან არ მიაქვს ენა. ჩვენ სხვაზე გვქონდა ეჭვი, მაგაზე როგორ ვიფიქრებდით... გუშინ საღამოს ბურთი ვითამაშეთ, მერე ქუჩაში გავისეირნეთ. დღეს დილით მასწავლებელმა ყველაფერი იცოდა: ვინ რა თქვა, ვინ ჩამოხტა გაქანებულ ტრამვაიდან, ვინ შეიგინა... მაგას ვასწავლით ჭკუას, — კბილებიდან გამოსცრა მუქარა ჩემმა თანამგზავრმა.

საუბრის თემა კვლავ შევცვალე — ეგებ დაწყნარდეს-მეთქი, მაგრამ ბიჭი მაინც ბობოქრობდა:

— პირში კი არაფერს გეტყვის, შენთან სიტყვასაც არ დაძრავს, გაძვრება და ქვეყანას მოსდებს.

ამასობაში სახლსაც მივუახლოვდით. ბიჭი თავაზიანად დამემშვიდობა და წავიდა.

ვფიქრობ, ზოგიერთ თქვენგანს გეცნაურათ ვაჟას საქციელი და თქვენი თავი გაგახსენდათ; ჰოდა, წერილი, რომელსაც მე ახლა ვაჟას მივწერ, თქვენც გეხებათ.

**ვაჟა!**

ალბათ ვერც წარმოიდგენდი, რომ შენს ოინებს შენთვის სრულიად უცნობი ვინმე შეიტყობდა, ის უცნობი წერილს დაწერდა და ქვეყანას გააგებინებდა შენს „კაი ბიჭობას“. ხომ გაგიგონია: „ჭირმა თავი არ დამალაო“. ბევრი რომ არ გავაგრძელო და მოკლედ რომ გითხრა — ძალიან ცუდი სახელი გქონია. მაბეზღარა, ენატანია — ამაზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი რაღა უნდა იყოს. ჩვენ იმას აღარ მოგაგონებთ, როდის ვინ დააბეზღე და ვის მიუტანე ენა. იმედია, ყველაფერი კარგად გაგახსენდება. იქნებ დაგცეცხლა კიდეც, სიწითლემ დაგკრა და, რომ იტყვიან, თავით ფეხებამდე დაგიარა; შეიძლება ოდნავაც არ შეცბე და წარბიც არ შეიხარო. რა გაეწყობა,

ჩვენ მაინც ჩვენსას გეტყვით. ძალიან გვაინტერესებს ერთი რამ: ყოველთვის ცუდს რომ უთვალთვალებ და ისე აიტაცებ ხოლმე, რომ გაცივებასაც არ აცლი, შენი მეგობრები ხომ ბევრ კარგ რამეს აკეთებენ. ერთხელ მაინც თუ მოგსვლია აზრად — ეს „კარგი რამე" გეთქვა ვინმესთვის?

იქნებ შემომედავო და მითხრა, — როგორ, ცუდი არ ვამხილოთ, დავფაროთ და ხელი შევუწყოთ?!

მოითმინე, მაგასაც მოგახსენებ.

გაგეგონება სიტყვები: პირდაპირი, პირში მთქმელი, პირუთვნელი, მოურიდებელი (ბოლო სიტყვას ორგვარი გაგება აქვს, პირველი: უშიშარი, გაბედული, პირდაპირი, მეორე: უზრდელი, უხეში, თავხედი. ჩვენ ამჯერად პირველი გაგება და შინაარსი გვაინტერესებს) და სხვ. ეს კარგი სიტყვები შენი საქციელის საპირისპიროდ ღაღადებენ! გაიხსენე, იმ ბიჭმა (შენ მას კარგად იცნობ) რომ თქვა შენზე — „პირში კი არაფერს გეტყვისო". ხედავ? თურმე საწყენი პირში თქმა და დაძრახვა კი არ ყოფილა, არამედ ზურგს უკან ენის ტანტალი და დაბეზღება. ასეა, ჩემო ვაჟა, ყველაფერს თავისი წესი აქვს. ვერც იმას გეტყვი, რომ პირში თქმა ყველას სიამოვნებდეს. ზოგი გაიბერება, გაიბუტება და დაგემდურება კიდეც, მაგრამ შენ ხომ მართალი იქნები შენს სინდის-ნამუსთან. რაკი პირში ეტყვი და დაძრახავ, მერე უფლება გაქვს სხვაგან და სხვასთანაც გაკიცხო. შეიძლება უფრო ლამაზადაც გადაწყდეს საკითხი: ვთქვათ, შენ უკვე მოიხადე ადამიანური ვალი — ვინმეს პირში უძრახე, გინდა, რომ სხვასაც გააგებინო მისი ულირსი საქციელი, და აი: შენ, დამნაშავე, და ის, ვისაც გინდა რომ უთხრა, ერთად ხართ. აი, ყველაზე კარგი და მოხდენილი მომენტი. ვინ უბირი გეტყვის აუგს და საყვედურს, რომ ყველაფერი გაბედულად და გულწრფელად თქვა. პირიქით — ქების მეტი არაფერი გეთქმის. და თუ ვინმე მტრობაში ჩამოგართმევს ამ საქციელს — ნუ შეშინდები, ადრე თუ გვიან გაიგებს — სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო, უთქვამთ.

ხედავ, ჩემო ვაჟა, რა პატარა მანძილია კარგსა და ცუდ საქმეს შორის? სწორედ ამიტომ გვმართებს დაკვირვება და მოსაზრება.

რახან დაბეზღება ჩვევად გქონია, ისიც გვითხარი, რა გრძნობა გაწუხებს დაბეზღების მერე. თუ გაჯიუტდები და დაგვიმალავ, მაშინ ჩვენ გეტყვით: ვერ ისვენებ, დაძაბული ხარ, ნერვიულობ, იმისიც გრცხვენია, ვისაც ენა მიუტანე, და იმისიც, ვინც დააბეზღე; თავს დამცირებულად გრძნობ, ყველას თვალს არიდებ და გეშინია, რომ არ გაგიგონ, გაწრიალებს და გაფორიაქებს ერთი მაცდური კითხვა — „ვაითუ?..." ყველას ერიდები, ყველა გერიდება, და ბოლოს... მარტო, გარიყული დარჩები; მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ ეს „ბოლო" შორსაა და, თუ დაუფიქრდები — ყველაფერს გამოასწორებ.

გითხარი და კიდევ გიმეორებ: ისე არ გამიგო, თითქოს ცუდი არ უნდა დაგმო, დანაშაულის მხილებას გვერდი უნდა აუარო!

ცუდის შემჩნევა და დანახვა ერთია, ჩემო ვაჟა, მის წინააღმდეგ ბრძოლა — მეორე. ენის მიტანით და დაბეზღებით ჯერ არაფერი გაკეთებულა. ეგ კი არი — ენის მიმტანს შეურცხვენია თავი და სხვა არაფერი.

სათქმელი ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ, მგონი, გამიგე და თავს აღარ შეგაწყენ. ამჯერად ჩემი უცნობი თანამგზავრის და შენი სხვა თანატოლების გულისწყრომას ჩემი გულისწყრომაც მიუმატე და კარგად დაიმახსოვრე: „მოყვარეს პირში უძრახე..."

ნახვამდის.

**ფილიპე ბერიძე.**

## უტკბესი და უმწარესი



ერთმა მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა:—წადი, ასეთი საჭმელი მომიტანე, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არც ზღვასა შინა იპოებოდესო!—წავიდა ვაზირი, ენა უყიდა; მოუტანა; შეწვა, აჭამა. მოეწონა. მეორედ უბრძანა:—წადი, ასეთი მომიტანე, მის უმწარესი არ იპოებოდესო ქვეყანაზე!—წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. უბრძანა მეფემან:—მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანე.—მოახსენა ვაზირმან:—თავმან შენმან, არცარა ენის უტკბოსი იქნებისო და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

**სულხან-საბა ორბელიანი.**






## პასუხი № 4-ში მოთავსებულ ქიმიურ ვიქტორინაზე

1. შაქრის ხსნარისა და ვერცხლისწყლის ჟანგის ნარევისაგან სამი რთული და ორი მარტივი ნივთიერების მიღება შემდეგნაირად ხდება:

ა) ნარევიდან ვერცხლისწყლის ჟანგს გაფილტვრით აცლიან;

ბ) მიღებული ვერცხლისწყლის ჟანგის ერთი ნაწილის გახურებით წარმოიქმნება თავისუფალი ვერცხლისწყალი და ჟანგბადი;

გ) შემდეგ, ხსნარს ახურებენ და გამოყოფილი ორთქლის გაცივებით მიიღებენ წყალს;

დ) ჯამზე დარჩება შაქარი.

ასე მიიღება მოცემული ნარევიდან, ფიზიკური პროცესის ჩატარებით, სამი რთული ნივთიერება: წყალი, შაქარი და ვერცხლისწყლის ჟანგი; ხოლო ქიმიური პროცესის ჩატარებით — ორი მარტივი ნივთიერება: ვერცხლისწყალი და ჟანგბადი.

2. ფენოლფტალეინის გამოყენებით მჟავას ასე ალმოაჩენენ: ტუტის ხსნარს უმატებენ ფენოლფტალეინის წვეთს, ამ დროს შეიმჩნევა ჟოლოსფერი შეფერილობა. ასეთ ხსნარზე თუ ვიმოქმედებთ მჟავათი, ის გაუფერულდება, ვინაიდან მჟავა ანეიტრალებს ტუტეს.

3. შაქრის ნატეხის დაწვისას ალის წარმოქმნა აიხსნება ფერფლში არსებული ნაერთების მოქმედებით. ამ ნაერთების გავლენით წვის რეაქცია ძლიერდება, სწრაფი ხდება. მოიგონეთ მანგანუმის ორჟანგის მოქმედებით ბერთოლეს მარილის სწრაფად დაშლა. ცნობილია, რომ ნივთიერებებს, რომლებიც ცვლიან რეაქციის სიჩქარეს, კატალიზატორები ეწოდება. ამ შემთხვევაში ფერფლი კატალიზატორის როლს ასრულებს.

4. ცნობილია, რომ მშენებლობებზე დიდი რაოდენობით იყენებენ ჩამქრალ კირს. ეს ნაერთი მიიღება გამომწვარ კირზე (კალციუმის ჟანგზე) წყლის დასხმით; გამომწვარი კირი იერთებს წყალს და მიიღება ჩამქრალი კირი (ამ დროს გამოიყოფა სითბოც). ტექნიკაში ეს პროცესი კირის ჩაქრობის სახელითაა ცნობილი.

სწორი პასუხი გამოგზავნეს: თელავის მე-3 საშ. სკოლის VIII კლ. მოსწ. ლ. ტიდაშვილმა, გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანის საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლეებმა ჟ. ასკილაშვილმა და მ. მაზიაშვილმა, თელავის რვალწიანი სკოლის VII კლ. მოსწ. დ. ჩუთლაშვილმა.

## კითხვები მეორე სერიისათვის

1. რომელი მარტივი ხერხით შეიძლება დამტკიცდეს, რომ შუშაში არის კირიანი წყალი?

2. რა მიიღება 2 ლიტრი წყალბადისა და 1 ლიტრი ჟანგბადის შერევით?

3. დაასახელით ყველაზე უფრო მძიმე აიროვანი მარტივი ნივთიერება (ელემენტი).

4. რომელი „ყინული" მიიღება ნახშირის ან — ორგანული ნივთიერების წვის პროდუქტისაგან?

## უცხოური იუმორი

გერმანულიდან თარგმნა მერი მექვევრიშვილმა.

მასწავლებელი: ოტო! შეგიძლია დამისახელო ხუთი ისეთი ნივთიერება, რომელიც შეიცავს რძეს?

მოსწავლე: რა თქმა უნდა: კარაქი, ყველი, ნაყინი და ორი ძროხა.

. . .

— პაულ, კარგი დრო გაატარე სოფელში?

— კი, ძალიან კარგი, მაგრამ ვაშლის კრეფის დროს ოთხმეტრიან კიბიდან ჩამოვვარდი.

— რას ამბობ, ალბათ მაგრად დაიბეგვე ხომ?

— არა, — უპასუხა პაულმა, — საბედნიეროდ, პირველ საფეხურზე ვიდექი.

. . .

მასწავლებელი: რა შეგიძლიათ გვითხრათ მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქიმიკოსების შესახებ?

მოსწავლე: ისინი ყველანი დაიხოცნენ.

. . .

ერთი ამერიკელი კინორეჟისორი გასაუბრებას ატარებდა იმ კანდიდატებთან, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ პატარა როლისათვის. ეს როლი ფეხბურთის კარგ ცოდნას მოითხოვდა. სხვებთან ერთად, შემოვიდა ერთი ბრგე ახალგაზრდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ამ როლისათვის გამოდგებოდა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა რეჟისორმა.

— უილიამი.

— გვარი?

— შექსპირი.

რეჟისორმა გაკვირვებით შეხედა ახალგაზრდას და უთხრა:

— ო, თქვენ მეტად პოპულარული გვარი გაქვთ.

— ეს არცაა გასაკვირი, — უპასუხა ახალგაზრდამ და ოდნავ გაწითლდა, — ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვთამაშობდი კალიფორნიის ნაკრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სელაპის ზაფხული



მხატვარი ზურაბ ფოცხიშვილი

ნ. ვერნერ-ჰოოკი

**ცნობილია, რომ გარეული ცხოველები იშვიათად უმეგობრდებიან ადამიანებს და, კიდევ უფრო იშვიათად უახლოვდებიან მათ თავიანთი ინიციატივით. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ინგლისელი მწერალი ქალი. ნ. ვერნერ-ჰოოკი გაოცებული დარჩა პლაჟზე ფარფლებიანი მეგობრის შეხვედრით. მწერალმა ამაღელვებლად აღწერა ეს შეხვედრა თავის წიგნში ,,სელაპის ზაფხული'' ვბეჭდავთ ამ ნაწარმოების ყველაზე უფრო საინტერესო ადგილებს.**

ჩეპმენის პატარა ყურე გარშემორტყმულია ფიქალის კლდეებით და ყველაზე განიერ ადგილას ოთხას მეტრს აღწევს. ამ ყურეს რომ მიაღწიოთ, აუცილებლად უნდა შემოუაროთ კონცხს და შემდეგ ციცაბო კლდეს ჩაჰყვეთ ხეობაში.

სანაპირო ზღვის მიერ გამორიყული უზარმაზარი ლოდებითა და ხეების ნახლეჩებითაა ჩახერგილი. ამ მყუდრო კუთხეს ზაფხულობით მეთევზეები და ის სტუმრები თუ ეწვევიან ხოლმე დასასვენებლად რომ ჩამოდიან მახლობელ სოფელში. ეს ადგილი სამუდამოდ დამამახსოვრდა. ოთხი წლის წინ იქ მეგობრად მომევლინა ეული სელაპი...

სელაპი პირველად მეთევზე სიდ ლენდერმა შენიშნა; ერთხელ სიდ ლენდერი სანაპიროდან რვაას მეტრზე ბადეებს უშვებდა წყალში. ამ დროს, ნავთან ახლოს მოულოდნელად ამოყვინთა სელაპმა და სწრაფადვე მიიმალა. მაგრამ ცოტა რომ გასცურა, ისევ ამოჰყო თავი და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა ადამიანებს. მეთევზეებს რომ ხმამაღლა შეეყვირათ ან ხელების ქნევა დაეწყოთ, ალბათ არასოდეს არ მექნებოდა სელაპთან ნაცნობობა. მეთევზის ბიჭი წინდახედულად მოიქცა,—,,სტუმარს'' თევზი ესროლა და სელაპმაც მის დასაჭერად ჩაყვინთა.

ორი დღის შემდეგ სელაპი პლაჟთან ახლოს, ბრტყელ კლდეზე წამოწოლილი შენიშნეს. ამის შესახებ ტელეფონით მაცნობეს, და მეც სასწრაფოდ გავეშურე ,,შემთხვევის ადგილზე''.

ცივი და უჟმური დღე იდგა. კლდეებს მძიმედ დასწოლოდნენ ღრუბლები. პლაჟზე გათოშილი მობანავეები ისხდნენ. სელაპი უკვალოდ გამქრალიყო. სანაპიროს დაცვის ჯგუფის წევრმა პერსი ვალესმა მითხრა:

— სელაპი დილით აქ იყო. მერე გასცურა. შორს არ იქნება წასული. დაუძახეთ და მოვა.

ჩემს ძახილზე მხოლოდ კლდეების ექო გამოგვეხმაურა.

— შეხეთ! — გაისმა ვიღაცის ხმა.

ყურეს შემოსასვლელში მრგვალი, გლუვი თავი გამოჩნდა, წამით შეჩერდა, მერე ნელ-ნელა გამოსცურა, თანდათან მოგვიახლოვდა და ჩვენგან ოთხი-ხუთი მეტრის დაშორებით გაირინდა. წყლიდან ნახევრად ამოიზიდა ვეება ტანი. დიდი თვალები მშვიდად და ალერსიანად გვიცქერდნენ.

სულგანაბული შევცქეროდი ზღვის ბინადარს. მისი სიგრძე ერთ მეტრსა და ოცდაათ სანტიმეტრს აღწევდა.

— აქ არ გაჩერდება,—დამაჯერებლად თქვა პერსიმ.— სელაპები ხმაურს ვერ იტანენ. საბანაოდ მოსულები დააფრთხობენ მას...

შეცდა ზღვის ბუნების მესაიდუმლე. სწორედ რომ ხალხი იზიდავდა ამ, ვინ იცის, საიდან გადმოხვეწილ სელაპს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა მარი ხიკმანმა შემატყობინა რომ წინადღით სელაპს მთელი დღე პლაჟზე გაეტარებინა.

— სელაპი ჩემს გვერდით წამოწვა, — აღტაცებით მიამბობდა მარი.—შემდეგ პერსი ვალესმა ზღვაში ნავი შეაცურა და ზღვის ბინადარიც მას გაჰყვა. ნავქვეშ ერთ მხარეს რომ ჩაყვინთავდა, მეორე მხარეს ამოჰყოფდა ხოლმე თავს. პლაჟზე უამრავი ხალხი მოგროვდა და სელაპიც სწრაფად ამოვიდა სანაპიროზე. მეკითხებოდნენ: შეიძლება თუ არა მიალერსებაო. არა მგონია, ეს სახიფათო არ იყოს. მას მეტად ბასრი კბილები აქვს-მეთქი, — ვამბობდი მე.

მეორე დილით მე და მარი ყურესთან მივედით. სელაპი ზედ ნაპირთან მოცურდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაბედულად ამოვიდა წყლიდან და ჩვენს გვერდით მოიკალათა.

— გამარჯობა! — ვუთხარი მე,— როგორა ხარ? მან პასუხად, კუდი გააქნია. მიალერსება მოვინდომე და ფრთხი-

ლად ავწიე ხელი. სელაპმა სწრაფად წამოსწია თავი და გაოცებული მზერა მომაპყრო.

— ძნელია ენდო,—თქვა მარიმ.—სქელი ხელთათმანი რომ გეცვას კიდევ ჰო...

ამგვარად, სელაპს არ მივუალერსე. სულ მალე პლაჟზე რაიტების ოჯახი გამოჩნდა. ოთხი წლის გოგონამ ჩვენთან მოირბინა, მაგრამ არც კი შეჩერებულა, ისე განაგრძო გზა. ჩვენ ვერ მოვასწარით მისი შეჩერება. გოგონა სწრაფად მიიჭრა სელაპთან, რომელიც, ალბათ დიდი ძაღლი ეგონა, მოეხვია და აკოცა. როცა გოგონასთან მივირბინეთ, იგი აღტაცებით იძახდა: ძაღლი, ძაღლიო.

სელაპი ფარფლებით ეხვეოდა გოგონას და მხიარულად ყეფდა. ვცადეთ მოგვეცილებინა გოგონა, მაგრამ სელაპმა ბრაზიანად დაგვიღრინა. ისინი დიდხანს, ძალიან დიდხანს თამაშობდნენ.

თვის ბოლოსთვის სელაპი ძალიან დაგვიახლოვდა. ყურეს ყოველდღიური სტუმარი გახდა. როცა ზღვის უკუქცევა იწყებოდა, იგი კლდეზე აბობღდებოდა ხოლმე და იქ ისვენებდა. ეს ნაცრისფერი სელაპი თვრამეტიოდე თვისა თუ იქნებოდა. მარცხენა მხარზე ნაჭრილობევი ემჩნეოდა. ალბათ, სხვა სელაპის ბრჭყალების კვალი იყო.

ერთი სიტყვით, ისე დაგვიახლოვდა, რომ არავის აღარ ეშინოდა მისი მიალერსება. ძალიან სიამოვნებდა მუცლის ფხანა, გადაბრუნდებოდა ზურგზე და თითქოს ითხოვდა: „კიდევ, კიდევო" უყვარდა, როცა ყურადღებას აქცევდნენ და ამიტომ ერთ ადგილზე ტრიალებდა, თავის კუდს დასდევდა დასაჭერად. როცა დაიღლებოდა, ამთქნარებდა და თან ფარფლებს იფარებდა ღია პირზე. ერთი სიტყვით, ძალიან ზრდილობიანად იქცეოდა.

მაგრამ ერთი რამ კი ყველას გვაინტერესებდა: რას იზამდა სელაპი, როცა წყალი გათბებოდა და ჩვენც ბანაობას დავიწყებდით?

ამ კითხვაზე ექსპერიმენტმა გაგვცა პასუხი.

იმ დღეს კენჭი ვყარეთ და „საპატიო მოვალეობა" იმის გასაგებად, თუ როგორ მოეპყრობოდა სელაპი ადამიანს წყალში, მე მერგო. როცა წელამდე შევედი წყალში, სელაპიც დაუყოვნებლივ გამომყვა და თან გაკვირვებული შემომცქეროდა. იგი აშკარად გაოცებული ჩანდა. აქამდე უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი მხოლოდ ხმელეთზე მოსიარულე არსებაა. ახლა კი მიხვდა, რომ ეს ასე არ იყო და, გახარებულმა თავისი ფარფლები წელზე შემომხვია.

ჩავყვინთე, დავიწყე ჭყუმპალაობა და ვაგრძნობინე, რომ წყალშიც შემეძლო მასთან თამაში ისევე, როგორც ხმელეთზე. სელაპიც ყვინთავდა, ჩემს ირგვლივ ცურავდა, პირს მკიდებდა ხელზე, სიღრმისკენ მეწეოდა, და ჩვენ ერთმანეთს ვხედავდით გამჭვირვალე წყალში.

პლაჟზე დარჩენილი მობანავეები აღტაცებაში მოდიოდნენ ჩვენი თამაშით. მერე ისინიც შემოგვიერთდნენ. გახარებული სელაპი ხან ერთთან მიცურდებოდა, ხან მეორესთან, თავით გვეჯახებოდა ვითომ ფეხში კბენა უნდოდა, და თავისი გრძელი ულვაშებით გვიღიტინებდა.

ბოლოს ერთი ოინი „მოიგონა", — მიეპარებოდა მოცურავეს, მუხლებთან თავს ამოჰკრავდა და წყალში გადააყირავებდა ხოლმე...

იდგა ცხელი ივნისი. ამინდმა, რეკლამამ და პრესამ ბევრი დამსვენებელი მოიზიდა ყურეში. ყველა აღტაცებული იყო სელაპით, და ისიც ყველას ძალზე მეგობრულად ექცეოდა, თავისუფლად გრძნობდა თავს უცხო ადამიანებს შორის. ძალიან სიამოვნებდა ჩემი ალერსი, მოფერება. თამაშის ხასიათზე მოსული ჩუმად მიეპარებოდა ხოლმე ბავშვებს და ქვიშაზე გადააკოტრიალებდა, აშინებდა ხანში შესულ ადამიანებს. როცა წყლიდან მთლად სველი ამოხტებოდა, სწრაფად წამოკოტრიალდებოდა ჭილობზე, რომელიც დამსვენებლებს თავისთვის ჰქონდათ გაშლილი. დროდადრო პირდაპირ აუტანელი ხდებოდა, გვაიძულებდა—მხოლოდ მისთვის მიგვექცია ყურადღება, ბღუჯა-ბღუჯა გლეჯდა წყალმცენარეებს და ჩვენს მახლობლად ყრიდა. ზურგზე გადაკოტრიალებული, ფარფლებს მუცელზე იტყაპუნებდა და, ბოლოს, თუ ამითაც ვერ მიიქცევდა ყურადღებას, დამსვენებლებს კაბებზე, შარვლის ტოტებზე, სახელოებზე ექაჩებოდა და გულმოსული ყეფდა.

ივნისის შუა რიცხვებში სელაპი წუნია გახდა, უფრო იმათთან არჩევდა მეგობრობას, ვინც მასთან ერთად ჩადიოდა წყალში. სელაპი თანდათან უფრო „გონიერი" ხდებოდა მაგალითად, გაიგო, რატომ მოდის ფოტოგრაფი. ნაღვლიან გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე და, მისი აზრით, მხატვრულ პოზაში დგებოდა აპარატის წინ. ძალზე გაიტაცა მუსიკამ. ფლეიტაზე დამკვრელმა გოგონამ საკრავი მოიტანა პლაჟზე და სელაპიც, თითქოს ოცნებებში წასული, თვალებს მინაბავდა და მთელის გატაცებით უსმენდა.

ადგილობრივმა გაზეთებმა სელაპი მონათლეს—სემი უწოდეს.

ხანდახან სემი სადღაც გადაიკარგებოდა, რაც ჩვენ გვაფორიაქებდა. ერთხელ მთელი დღე არ გამოჩენილა. ბოლოს, როცა ყურეში დაბრუნდა, მე შვებით ამოვისუნთქე. დავუძახე და ისიც სწრაფად მოცურდა ჩემთან...

იმ ადრიანი დილით პლაჟზე არავინ ჩანდა. მე, წყლის პირას, სელაპის გვერდით დავჯექი. ზღვის ბინადარმა მუხლებზე დამადო თავი. მივუალერსე. სემიმ ჩასთვლიმა. დროდადრო ფარფლები შეუტოკდებოდა ხოლმე და უცნაურად აცმაცუნებდა ულვაშებს. სიზმრებში თუ იყო.

რატომღაც, უცებ მომინდა სემისთან ერთად ზღვაში შორს გაცურვა. წყნარად შევედი წყალში. სელაპი ძილს განაგრძობდა. მაგრამ ვერც კი მოვასწარი ორმოცდაათიოდე მეტრის გაცურვა, რომ სემის გაეღვიძა და თვალის დახამხამებაში ჩემთან გაჩნდა. მე სწრაფად მივცურავდი, სელაპმა ჩემს წინ ამოყვინთა და გაჩერდა. ფარფლები მუცელზე მიიწყო. მისი გაკვირვებული თვალები თითქოს მეკითხებოდნენ, — „ასე შორს რატომ გასცურეო". მაგრამ მისი შეშფოთება წამიერი აღმოჩნდა, ერთი სიხარულით შეჰყეფა და წინ გაიჭრა.

ყურეს შუაგულს მივაღწიე. ორ მეტრის სიღრმეზე ჩასული სელაპი კვალდაკვალ მომდევდა და თვალს არ მაშორებდა. მე ზურგზე გავწექი შესასვენებლად. ცა, ზღვა და სემი,—მეტი არაფერი არ არსებობდა ჩემთვის. გვარწევდნენ ტალღები. ამ დროს ნაპირთან ვილაცამ მანქანა გააჩერა. ჩვენ პლაჟისკენ გამოვცურეთ. მაგრამ იქ დარჩენა, არ მინდოდა. არ მინდოდა მენახა—თუ როგორ ეალერსებოდა სემი „უცხოს"..

სელაპს იუმორის გრძნობაც ჰქონდა. მოულოდნელად მიეპარებოდა რომელიმე მოცურავეს და ქვემოდან ისე ამოჰკრავდა თავს, რომ ჰაერში ამოატრიალებდა. ანდა, წამოვიდოდა ტორპედოსავით და ზედ მოცურავის ცხვირწინ მოულოდნელად დამუხრუჭდებოდა, ფარფლებს წინ გაიშვერდა, უკან გადაიზნიქებოდა და უხვად მიაშხეფებდა წყალს.

ყოველივე ამის გარდა, სემის შეეძლო თავისი გრძნობები სხვადასხვანაირი ხმით გამოეხატა.

ასე მაგალითად: აღელვებისა და გაბრაზების დროს ძაღლივით ყეფდა, კმაყოფილებისას — ბურდღუნებდა, ფრუტუნებდა და ყმუოდა, როცა რაიმეთი უკმაყოფილო იყო, გაბმულად კვნესოდა, სლუკუნებდა და ღმუოდა.

ხშირად განაწყენდებოდა ხოლმე. წვიმიან ამინდებშიც კი ვცდილობდით, რაც შეიძლება დიდხანს ვმსხდარიყავით სანა-

პიროზე რათა არ შეგვეწუხებინა სელაპი, რომელსაც ამ დროს რომელიმე ჩვენგანის მუხლებზე ედო თავი და გარინდული იწვა. ბოლოს, როცა იძულებული ვხდებოდით,—მიგვეტოვებინა სანაპირო, სელაპი სასოწარკვეთილად სლუკუნებდა და სრულიად მარტო, ყველასგან მიტოვებული, გულამოსკვნილი ტიროდა.

ჩვენი წასვლის შემდეგ სელაპს მეთევზის ბიჭი ლენდერი უთვალთვალებდა ხოლმე. ერთხელ მან მითხრა, როცა სელაპი სრულიად მარტო რჩება, შეშფოთებული ათვალიერებს ხოლმე სანაპიროს, კვნესის, ყმუის, ოხრავს და წელთარეული მილასლასებს კლდეებისაკენ ღამის გასათევადო...

ერთ დღეს, ეს უკვე სექტემბერში მოხდა, სელაპმა საკმაოდ მაგრა მკრა თავი და მანიშნა, თან გავყოლოდი. რამდენიმე ასეული მეტრის გაცურვის შემდეგ ჩეპმენის მეზობლად მდებარე პატარა ყურეში სეკომბეს პლაჟს მივაღწიეთ. ამ პლაჟზე გასვლა მხოლოდ ზღვიდან იყო შესაძლებელი. კლდეში, საჩრდილობელივით გადმოკიდულ ლოდქვეშ, პატარა მღვიმე ჩანდა. სემი ლოდზე აბობღდა. ვათვალიერებდი მღვიმეს და განგებ ხმამაღლა გამოვხატავდი აღტაცებას.

— დიდებულია! საუცხოვოა! რა ჭკვიანი ხარ, სემი!

სელაპი ბედნიერი იყო.

— შენ ხომ მიჩვენე შენი საიდუმლო სამყოფელი, ახლა მე გამომყევი,—ვთქვი მე და ორივენი წყალში გადავეშვით.

სეკომბეს ყურეში არის კიდევ ერთი, ვარდისფერი, გლუვი ბაზალტის მღვიმე, რომლის შუაგულში აღმართულია პირამიდული კლდე. ამ კლდეზე ასვლა მხოლოდ ერთი მხრიდანაა შესაძლებელი. მეორე—ციცაბო და ლიპია. ავცოცდი კლდეზე და იქიდან ხმაურით ჩავსრიალდი წყალში. სემიმ თვალები დააჭყიტა. მერე მანაც მოინდომა ზევით ამოსვლა და ხვნეშით დაიწყო კლდეზე ამოცოცება. ფარფლებში წავატანე ხელი და კლდის წვერზე ამოვათრიე.

სემიმ სწრაფად აითვისა „სამთო-სათხილამურო“ ტექნიკა და ჩემს დაუხმარებლად ამოცოცდებოდა ხოლმე კლდეზე და იქედან აღფრთოვანებული მისრიალებდა ქვევით. მე გაუნძრევლად ვიჯექი ქიმზე და სელაპს ვუთვალთვალებდი. იგი ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ ძლივს ვასწრებდი თვალყურის დევნებას. ბოლოს მომბეზრდა ცქერა და მღვიმე მივატოვე. ჩემს დაძახილზე სელაპი არ გამომეხმაურა. საყვედურით შემომცქეროდა და თითქოს მეუბნებოდა, რად მიდიხარ, აქ ხომ კარგი ადგილიაო...

მიიწურა ზაფხული. დამსვენებლები ქალაქში დაბრუნდნენ. აცივდა. გახშირდა შტორმი. ოქტომბერში ყინვებიც დაიჭირა. პლაჟზე იშვიათად თუ ჩავიდოდი. მაგრამ ერთხელ გამოიდარა და მეც სანაპიროს მივაშურე. სემი იქ დამხვდა. იცინოდა მზე, ვერცხლისფრად ლაპლაპებდა ყურე. გახარებული სემი ახლოს მოვიდა და კბილები ნაზად ჩამავლო ფეხზე, მერე სახელო მომქაჩა და წყლისკენ გაიწია

— არა, სემი, ცივა,—ვთქვი მე, მაგრამ მის მუდარით აღსავსე მზერას ვეღარ გავუძელი და... იმ დღეს მე და სემი უკანასკნელად ვცურაობდით ერთად...

ისევ გაფუჭდა ამინდი. რვა დღე ბობოქრობდა შტორმი. პერსი ვალესს ორჯერ დავურეკე ქალაქიდან.

—დიახ! სემი აქ არის!—გავიგონე მისი ხმა ყურმილში. — გინდათ გამოემშვიდობოთ? მაშინ საჩქაროდ წამოდით!

მაშინვე ჩავჯექი მანქანაში და გავემგზავრე.

ღრუბლიანი დღე იყო. სემი კლდეზე იწვა და ზღვას გასცქეროდა. მის წინ ტალღები ყალყზე დგებოდნენ. პლაჟზე და, საერთოდ, ყურეში არავინ არ ჩანდა. სემი ფარფლებით მობობღდა ჩემთან. ძალიან ღელავდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა, ხანდახან კვნესოდა კიდეც. ვცდილობდი მის დამშვიდებას და ალერსიანად ვეუბნებოდი:

— დარჩი ჩვენთან, მეგობარო. ზამთარი მალე გაივლის მოვა ზაფხული...

სელაპი ფეხებზე მაწვა, მისი სიმძიმისაგან ფეხები მალე დამებუჟა. წამოვდექი. სემი უხალისოდ გახოხდა წყლისკენ. ერთი წამითაც არ მოუცილებია ჩემთვის თვალი, ისე აქანავდა ტალღებზე. უკან გამოვბრუნდი და ქოშინით ავედი ბაზალტის გორაზე. სემი დანისლულ დასავლეთისაკენ მიცურავდა. აი, თავი მოაბრუნა და ვიგრძენი, რომ იგი მე მიყურებდა.

— სე-მი! — დავიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა.

წამოუბერა ძლიერმა ქარმა. სელაპი ნისლში გაქრა. გაქრა სამუდამოდ.

თარგმნა **თ. ცაგარელმა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა ? პასუხი

**მართალია, თუ არა, რომ მთვარეზე ადამიანი ექვსჯერ უფრო მეტ სიმაღლეზე გადახტება, ვიდრე დედამიწაზე?**

**სად უფრო იოლია რეკორდის დამყარება, პოლუსზე თუ ეკვატორზე? — გვეკითხებიან თბილისის 24-ე საშ. სკოლის მეშვიდეკლასელები. ვპასუხობთ მათ შეკითხვაზე.**

როგორც ცნობილია, სიმძიმის ძალა მთვარეზე ექვსჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე.

ვალერი ბრუმელის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში 2,28 მეტრია. გამოდის, რომ მთვარეზე იგი 6-ჯერ მეტ სიმაღლეს აიღებდა, ე. ი. 13 მეტრსა და 68 სანტიმეტრს გადაევლებოდა. როგორ შევამოწმოთ ამ თეორიული მოსაზრების სისწორე?

აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც არ დაუცადა მთვარეზე გაფრენას და დედამიწაზე სცადა ამ მოსაზრების დამტკიცება.

ეს იყო შვედი მფრინავი კარლსონი.

...სტოკჰოლმის სტადიონზე მეცნიერებს, მსაჯებსა და უამრავ მაყურებელს მოეყარათ თავი. მათ შორის იყო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი რიჰარდ დელი.

კარლსონს ზურგზე წყალბადით გაბერილი რეზინის ორი ბალონი ეკიდა, რომელიც მის წონას 6-ჯერ ამცირებდა. ახლა იგი სულ რაღაც 12 კილოგრამი იყო, ე. ი. იმდენი, რამდენსაც მთვარეზე აიწონიდა.

შეჯიბრი დაიწყო. კარლსონი პირველსავე ცდაზე 4 მეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო, რიჰარდ დელმა კი ჩვეულებრივი, „მიწიერი“ ნახტომი გააკეთა — 201 სანტიმეტრი დაძლია.

ამ ცდის შემდეგ ყველა სპორტსმენ-მხტომელს შეუძლია გამოთვალოს, თუ რა შედეგს მიაღწევს იგი „მთვარეზე გამართულ შეჯიბრში“.



ძალოსანმა რეკორდი დაამყარა. მსაჯებმა შტანგა ზუსტად აწონეს და რეკორდების ცხრილში

## გამოგადგება

როცა საჭიროება მოითხოვს ჩააჭედო ლურსმანი ისეთ ადგილას, სადაც ჩაქუჩით ვერ მიუდგები, დააყენე იგი საჭირო ადგილზე, რუსული „ს“-ს მსგავსი მოსაჭერით თანდათან ჩაარჭე ლურსმანი ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები. თუ დეტალის დასამაგრებლად წებოც არის საჭირო, მაშინ მოსაჭერს ნუ მოხსნი მანამ, ვიდრე წებო არ გაშრება.



სამლურსმიანი ძელაკით შეიძლება სწრაფად და ზუსტად გაიყოს შუაზე ნებისმიერი სიგანის ფიცარი. ერთი ლურსმანი ჩაარჭე ძელაკის ცენტრში ისე, რომ მისი წვერი მეორე მხარეს, დაახლოებით, სამ მილიმეტრზე გავიდეს. ორი დანარჩენი ლურსმანი კი მოპირდაპირე მხრიდან უნდა ჩაეჭედოს ძელაკს, ცენტრში ჩაჭედებულ ლურსმნისაგან თანატოლ მანძილებზე (დახედე ნახატს). მოპირდაპირე მხრიდან ჩაჭედებული ლურსმნები მიაბჯინე ფიცრის ნაპირებს ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და ამოძრავე ფიცრის გასწვრივ. ცენტრალური ლურსმნის წვერი თვითონ გაავლებს ხაზს. ფიცარი ზუსტად შუაზე გაიყოფა.



აიღე 15 სანტიმეტრი სიგრძის, 6 მილიმეტრამდე დიამეტრის მქონე ლითონის მილი და თოკის ნაჭერი. თოკი გაუყარე მილში ისე, რომ მისი ერთი ბოლო ოდნავ გამოვიდეს გარეთ. თოკის ეს გაწეწილი ბოლო მშვენიერი ფუნჯია წებოსათვის და ხმარების შემდეგ მას რეცხვა არ სჭირდება. წებოთი გათხუპნული ბოლო მოაჭერი მაკრატლით, თოკი ოდნავ გამოყავი მილიდან, გაწეწე და, — ფუნჯი ისევ ახალი იქნება.



ახალი როცხვი გაჩნდა. არც მსაჯებსა და არც თვით სპორტსმენს არ ეპარებათ ეჭვი, რომ შტანგის წონა ზუსტია. მაგრამ ეჭვი მაინც შეიძლება დაიბადოს. საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმას, — სად დამყარდა რეკორდი: სადღაც გრენლანდიაში, ჩრდილოეთ პოლუსის ახლოს თუ ეკვატორის მეზობლად მდებარე ქვეყანაში?

— ეს რაღა უცნაურობაა, რეკორდი ხომ ყველგან რეკორდია?! — გაიფიქრებს ბევრი თქვენგანი. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, კილოგრამი ყველგან კილოგრამი არ ყოფილა. და აი, რატომ:

როგორც ცნობილია, დედამიწას სფეროს ფორმა აქვს და პოლუსებთან ოდნავ შებრტყელებულია. ასე რომ, დედამიწის ცენტრიდან ზედაპირის ყველა წერტილამდე თანაბარი მანძილი არ არის ცენტრთან ყველაზე ახლოს პოლუსებია, ყველაზე შორს — ეკვატორი. მეცნიერებამ კი დაამტკიცა: რაც უფრო დაცილებულია დედამიწის ცენტრიდან რომელიმე ადგილი, მით უფრო ნაკლებია იქ დედამიწის მიზიდულობა, და პირიქით.

გარდა ამისა, სხეულზე მოქმედებს დედამიწის ბრუნვით გამოწვეული ცენტრიდანული ძალა. დედამიწაზე მდებარე ყოველი სხეული ცდილობს მოწყდეს ზედაპირს, რის გამოც იგი ბევრად უფრო მსუბუქი ხდება. რაც უფრო ვუახლოვდებით ეკვატორს, მით უფრო იზრდება დედამიწის ბრუნვის



წრე, ამასთან ერთად იზრდება ცენტრიდანული ძალაც. პოლუსთან შედარებით, ეკვატორზე სხეულის წონა დაახლოებით 1/289-ით ნაკლებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე საგანი ეკვატორზე ნაკლებს იწონის, ვიდრე პოლუსზე.

ამიტომ, სპორტსმენისათვის სულაც არაა ერთი და იგივე, თუ სად ტარდება შეჯიბრი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვალერი ბრუმელი სადმე ეკვატორთან ერთი-ორი სანტიმეტრით უფრო მაღლა გადახტებოდა, ხოლო ჟაბოტინსკი ნახევარი კილოგრამით მეტ სიმძიმეს ასწევდა.

ეს ციფრები შეიძლება უმნიშვნელოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ სპორტში თითოეულ სანტიმეტრს, თითოეულ გრამს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ხაშურის რაიონის სოფ. ახალსოფლის VI კლასის მოსწავლეს ბეგლარ ლალიაშვილს აინტერესებს, რატომ აალდება ღუმელში მხრჩოლავი შეშა სულის შებერვით. ადამიანის მიერ ამოსუნთქული ჰაერი ხომ ნახშირორჟანგს შეიცავს და ეს უკანასკნელი კი წვას უშლის ხელს.**

**ამ კითხვაზე პასუხს იძლევა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნ ი კ ო ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.**

ღუმელში შეშის უალოდ წვა გამოწვეულია ღუმელში ჰაერის (ჟანგბადის) სიმცირის გამო.

ამოსუნთქული ჰაერი (გაზი) მთლიანად არ შეიცავს ნახშირორჟანგს, ის ამ გაზის მინარევს წარმოადგენს. ამონასუნთქი გაზის ღუმელში შებერვისას წარმოიქმნება ჰაერის შედარებით ძლიერი ნაკადი, რომელიც ოთახში არსებულ ჟანგბადს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიეჯახება და მიიტანს მხრჩოლავ შეშამდე. ჟანგბადის მიახლოვებისას კი წვა განახლდება და წარმოიქმნება ალი.



# პერუული მზის ყვავილი

**1492 წელს, ამერიკის მატერიკზე რომ გადავიდა, ქრისტეფორე კოლუმბმა მანამდე მისთვის სრულიად უცნობი ყვავილოვანი მცენარე ნახა. შემდეგში, ევროპელებმა, სხვა სიმდიდრესთან ერთად, ამერიკიდან წამოიღეს ეს მცენარეც, რომელსაც „პერუული მზის ყვავილი" შეარქვეს.**

„პერუული მზის ყვავილი" დაუტოტავი, ორ-სამ მეტრამდე სიმაღლის სწორღეროიანი მცენარეა, აქვს გულის მოყვანილობის მარტივი, მორიგეობითი ფოთლები. ღეროს თავზე ადგას დიდი და მრგვალი „კალათა", რომელიც უამრავი ღია ყვითელი ყვავილით არის შემკული. „კალათა" ყოველთვის მზისკენ არის მიმართული და, როცა ყვავილს მზის მხრიდან ვუცქერით, იგი კაშკაშა ყვითელი ფერისაა, მოპირდაპირე მხრიდან კი — მწვანე.

ალბათ მიხვდით, რომ ლაპარაკი გვაქვს ყველასათვის ცნობილ მზესუმზირაზე.

ევროპაში მზესუმზირა პირველად 1510 წელს, მადრიდის ბოტანიკურ ბაღში დათესეს. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში იგი საფრანგეთს, ბელგიასა და ჰოლანდიას ეწვია.

ამ მცენარის სილამაზით მოხიბლულმა რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა თავის ხელქვეითებს უბრძანა, ეშოვნათ მზესუმზირას თესლი და პეტერბურგის „სააფთიაქო ბოსტანში" დაეთესათ.

„სააფთიაქო ბოსტნიდან" მზესუმზირა მემამულეთა ბაღებში გადავიდა და გლეხთა კოხების ირგვლივაც მოიკიდა ფეხი.

კარგა ხანს მზესუმზირა მხოლოდ დეკორატიული მცენარე ეგონათ.

1885 წელს, ვორონეჟის გუბერნიის სოფელ ალექსეევსკის მცხოვრებმა ყმა-გლეხმა ბოკარევმა მზესუმზირას თესლიდან გამოწურა ზეთი. რომელიც მის თანასოფლელებს ძალიან მოეწონათ.

სულ მალე, ამ სოფელში აშენდა, მსოფლიოში პირველი კუსტარული ზეთსახდელი ქარხანა. 1860 წელს კი, ვორონეჟის გუბერნიაში უკვე 120 ზეთსახდელი ქარხანა მუშაობდა. ამის შემდეგ, მზესუმზირა სწრაფად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და მისმა ზეთმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ადამიანის საკვებ ნივთიერებათა შორის.

მას იყენებენ სხვადასხვა მალამოს, საცხის, საპნის, სალებავების დასამზადებლად და სხვა.

მზესუმზირას ზეთი ნოყიერი, გემრიელი და ჯანმრთელობისათვის დიდად სასარგებლოა, განსაკუთრებით, მოზრდილი ორგანიზმისათვის.

ზეთგამონახადი მზესუმზირა საუკეთესო კოპტონს წარმოადგენს.

მზესუმზირის ყვავილებიდან ღებულობენ მალარიის სამკურნალო წამალს, რომელიც ცვლის ქინაქინს.

# ალექსანდრე ციმაკურიძე

ალექსანდრე გრიგოლის ძე ციმაკურიძე სამართლიანად ითვლება ქართული პეიზაჟური ფერწერის ფუძემდებლად. იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც თავისი შემოქმედების ძირითად თემად პეიზაჟი აირჩია.

ა. ციმაკურიძე დაიბადა 1882 წელს სოფ. ქვიშხეთში. ადრე დაქვრივებულ დედას კარგა ხანს არ ჰქონდა საშუალება, შვილების განათლებაზე ეზრუნა. უკვე 15 წლისა იყო მომავალი მხატვარი, როცა პირველად შეაღო სკოლის კარები. ხაშურის რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში იგი განსაკუთრებით ხატვამ გაიტაცა და ამ დარგში წარმატებასაც მიაღწია.

ორი წლის შემდეგ, 17 წლის ალექსანდრე თბილისში, თავის ბიძასთან ჩამოდის, რათა საშუალო სასწავლებელში მოეწყოს. მაგრამ, როგორც ასაკგადაცილებული, არც ერთ სკოლაში არ მიიღეს. დადარდიანებულ ჭაბუკს დიდი დახმარება გაუწია მწერალმა ანასტასია წერეთელმა. მან ალექსანდრე სასწავლებლად მოაწყო ქართული საბავშვო ლიტერატურის ილუსტრატორთან, ქართული შრიფტის ალბომის ავტორ — გრავიორ გრიგოლ ტატიშვილთან. ა. ციმაკურიძე მალე დახელოვნდა ხეზე გრავიურის ტექნიკაში და ერთი წლის შემდეგ სწავლა განაგრძო მხატვარ ლონგოს კერძო სტუდიაში. სულ მალე, ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში ჩააბარა მისაღები გამოცდები, ხოლო 1902 წელს თბილისის სამხატვრო სკოლაში შედის. აქ ასწავლიდნენ მხატვრები ო. შმერლინგი, ე. თათევოსიანი, ბ. ფოგელი და სხვები. ა. ციმაკურიძის უშუალო ხელმძღვანელი იყო ცნობილი პეიზაჟისტი ბ. ფოგელი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ციმაკურიძის, როგორც მომავალი პეიზაჟისტი მხატვრის ჩამოყალიბებაში.

1906 წელს ა. ციმაკურიძე წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს მოსკოვის ფერწერის, გრაფიკისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში და განაგრძობს სწავლას, როგორც თავისუფალი მსმენელი. ზაფხულობით ჩამოდის მშობლიურ სოფელში და ჰქმნის მრავალ ეტიუდსა და ესკიზს, ძირითადად პეიზაჟის თემებზე.

მოსკოვში ყოფნის პერიოდის ნამუშევრებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა ეტიუდმა — „მხატვრის სახლი“. ამ ეტიუდში ნათლად ჩანს ავტორის თავისებური მანერა, თემისადმი რეალისტური მიდგომა. კომპოზიცია დინამიურია, სივრცე — ღრმა, ფერები — დიდად მეტყველი.

1915 წელს ა. ციმაკურიძემ დაამთავრა სასწავლებლის კურსი. ამ დროისათვის მან დაწერა არაერთი ეტიუდი და სურათი: „შადრევანთან“, „რუსული ზამთარი“, „ქვიშხეთის კუთხე“, ნატურმორტი — „ცოცხალი ყვავილები“... სადიპლომო ნამუშევრების გამოფენაზე, კომისიამ „ცოცხალი ყვავილების“ ავტორს პირველი ხარისხის მხატვრის წოდება მიანიჭა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ა. ციმაკურიძე საქართველოში დაბრუნდა. ერთ ხანს რაიონებში სპექტაკლების გამფორმებლად მუშაობდა, შემდეგ თბილისის მე-4 რკინიგზის სკოლაში ასწავლიდა ხატვას. მაგრამ სულ მალე, ცხოვრების მძიმე პირობებმა აიძულეს, სოფელში წასულიყო და სოფლის მეურნეობისათვის მოეკიდა ხელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ა. ციმაკურიძე თბილისში ბრუნდება. 1922 წელს იგი მიიწვიეს ახალგახსნილ სამხატვრო აკადემიაში ხატვის მასწავლებლად. 1926-1930 წლებში მუშაობდა თბილისის კომუნალური მუზეუმისათვის: ხატავდა ჩვენი დედაქალაქის ძველ და ახალ ხედებს. ამ პერიოდის ნამუშევრები („ცისფერი სახლი აბას-აბადის მოედანზე“, „ბანიანი სახლი“, „ბაქოს 26 კომისრის სახელობის ბაღი“, „სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“) გამოირჩევიან წერის გულმოდგინე და დასრულებული მანერით. ყოველი საინტერესო პეიზაჟი მხატვარს ერთ მთლიან, პოეტურ სახედ აქვს გააზრებული.

1930 წელს ა. ციმაკურიძე მიიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ხელმძღვანელობდა პეიზაჟის კლასს.



ალექსანდრე ციმაკურიძე

მხატვარი გ. ჯაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ციმაკურიძის, როგორც მხატვრის, ინდივიდუალური თვისებები ყველაზე უფრო ვლინდება ქვიშხეთის პეიზაჟებში. მთიანი ლანდშაფტის თავისებურებათა გამოსახატავად მხატვარი გულმოდგინედ ირჩევდა ხედვის წერტილს, რომლის წყალობითაც შთამბეჭდავად გადმოსცემდა მთაგრეხილების სიდიადეს, უზარმაზარი ხეების სიმძლავრეს, მზით განათებული არე-მარის სილამაზეს. აღსანიშნავია, რომ ა. ციმაკურიძე არასოდეს არ გამოსახავდა ბუნებას ღამის ან საღამოს ბინდით შებურვილს. მას უყვარდა ზაფხულის ნათელი შუადღე, როცა ფერების სიმდიდრე განსაკუთრებული ძალით ჟღერდა. ამ მხრივ უაღრესად მეტყველი ნახატებია „ქართლის ველი“, „ქვიშხეთის შემოგარენი“, „კაკლის ხეები“, „მთის პეიზაჟი“, „აგარაკზე“, „წისქვილთან“, „დილა“ და სხვ. ხოლო სურათი „ბორჯომის ხეობის დასაწყისი“ ა. ციმაკურიძის ერთ-ერთი შედევრთაგანია.

ა. ციმაკურიძე საქართველოს კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურებოდა. ილიასა და აკაკის იუბილეებთან დაკავშირებით, მან 30-იან წლებში დაწერა ამ დიდი მწერლების ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილთა ეტიუდების მთელი სერია.

სამამულო ომის წლებში ა. ციმაკურიძემ შექმნა სურათები: „ტანკები“ (1942), „მზვერავები კავკასიონზე“ და „ძვირფასი სტუმრები“. 1950 წელს დაამთავრა 1941 წელს დაწყებული სურათი — „მზვერავები“.

დიდად შთამბეჭდავია შრომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები: „სიმინდის რჩევა“ (1947), „მოსავლის აღება ქართლში“, „რთველი“, „ჩითახევში“ (1950) და სხვ.

ამავე წლებში მხატვარი წერს დიდ ტილოს — „თბილისის სანაპიროს მშენებლობა“ და თავისი ქალიშვილის პორტრეტს.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა დიდად ნიჭიერი მხატვრის შემოქმედება. ა. ციმაკურიძეს მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ალექსანდრე ციმაკურიძე გარდაიცვალა 1954 წელს.




## საფოსტო ავტომატები

მოსკოვში გაიხსნა მესამე საფოსტო განყოფილება, სადაც ადამიანების ნაცვლად ავტომატები მუშაობენ. ისინი ჰყიდიან გაზეთებს, ჟურნალებს, ღია ბარათებს, მარკებსა და კონვერტებს, ახურდავებენ ფულს.

ავტომატები იღებენ დაზღვეულ წერილებს, რომლებზედაც სვამენ შტემპელს, იძლევიან ცნობებს წერილების, ბანდეროლებისა და ამანათების გაგზავნასთან დაკავშირებულ კითხვებზე.

უახლოეს წლებში, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში 200 ასეთი ფოსტა-ავტომატი გაიხსნება.



## პირველი უნივერსიტეტი მსოფლიოში

უნივერსიტეტი სულ პირველად XII საუკუნეში, იტალიის ქალაქ ბოლონიაში დაარსდა. სულ მალე, უნივერსიტეტი გაიხსნა პარიზშიც. რა თქმა უნდა, ამ უნივერსიტეტებში, ისევე, როგორც იმ დროის ყველა სკოლაში, სწავლება საეკლესიო, სქოლასტიკური ხასიათისა იყო. სტუდენტებს მოწაფეები ერქვათ, ლექტორებს კი — მაგისტრები.

უნივერსიტეტებში შედიოდნენ 12-15 წლის მოზარდები.

ლექციები იწყებოდა დილის ხუთ საათზე და 4-5 საათს გრძელდებოდა. ვარჯიშების, ანუ დისპუტების, გაცდენისათვის მოწაფეებს კარცერში ჩასმით სჯიდნენ და მხოლოდ პურსა და წყალზე ამყოფებდნენ.

დისპუტები, ჩვეულებრივ, დიდი აურზაურით ტარდებოდა. მოწაფეები ყვიროდნენ, ფეხებს აბრახუნებდნენ და ხშირად მუშტი-კრივამდეც კი მიდიოდა საქმე.

## უძველესი წიგნი

როდის დაიწერა ყველაზე უძველესი წიგნი? იქნებ 2000 ან 3000 წლის წინ?

არა! ყველაზე ძველი წიგნი, რომელიც გათხრების დროს ერთ-ერთ სამარხში იპოვეს, 4500 წელს ითვლის, მას „პაპირუს პრისე“ ეწოდება და საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

## რა ვუყოთ თამბაქოს?

ამ ბოლო წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს თამბაქოს უდიდესი მავნებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამან თავისი შედეგი გამოიღო: ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მცირდება თამბაქოს ნათესი ფართობები თუმცა, ეს კულტურა ალბათ უფრო შესაფერის გამოყენებას ჰპოვებს. კანადაში მოწყობილმა ცდებმა აჩვენა, რომ, თუ ღორის სალაფავში თამბაქოს გავურევთ, მნიშვნელოვნად გაიზრდება ღორის ხორცის ხარისხი: ნიკოტინი 2-5 პროცენტით ზრდის საკვების ეფექტურობას და 5-17 პროცენტით ცვლის ქონთან მჭლე ხორცის წონით შეფარდებას.

## შეიძლება თუ არა ვენერაზე ცხოვრება?

მეცნიერების უკანასკნელი მონაცემებით, პლანეტა ვენერაზე მეტის მეტად მაღალი ტემპერატურაა, მაგრამ, ამას წინათ, ამერიკელმა ასტროფიზიკოსებმა — პლამერმა და სტრონგმა განაცხადეს, რომ, სინამდვილეში, ვენერაზე გაცილებით დაბალი ტემპერატურაა, ამიტომ ამ პლანეტის ზოგიერთი ადგილი სრულიადვარგისია ადამიანის საცხოვრებლად. ამ ადგილების საერთო ფართობი კი, როგორც ამბობენ პლამერი და სტრონგი, მთელი დედამიწის ხმელეთს აღემატება.

## ერთ სიცოცხლეში ვერ მოასწრებ

ყველაზე დიდი რიცხვი, რომელიც სამი ციფრით გამოისახება, — არის 9 მეცხრე ხარისხში, აყვანილი კვლავ მეცხრე ხარისხში. ამ რიცხვის დასაწერად ადამიანს ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. თუნდაც მთელი თავისი დრო ამ საქმეს შესწიროს. თუ ეს რიცხვი ლენტზე დაიწერება ისე, რომ თითოეულ ციფრს ნახევარი სანტიმეტრი ექნება დაკავებული. საჭირო გახდება 18 ათასი კილომეტრი სიგრძის ლენტი.



# ახალი წიგნები

გამომცემლობა „ნაკადულმა“ სათაურით: „ბანაკი თამარის ციხეზე“ გამოსცა ჯემალ ნინუას მოთხრობა, რომელშიც დღიურის ფორმით ცოცხლად არის გადმოცემული მეექვსეკლასელი გელას განცდები და ფიქრები.

წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ უფროსი მეგობრების— კომკავშირელების, კერძოდ, უფროსი პიონერხელმძღვანელის ზურაბ პაქსაშვილის თაოსნობით, როგორ მოაწყვეს პიონერული ბანაკი ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ სოფელში... ბავშვები არა მარტო კარგად და შინაარსიანად ისვენებენ, არამედ ბევრ სასარგებლო საქმესაც აკეთებენ ადგილობრივი კოლმეურნეებისათვის.

წიგნის ბაზარზე გამოჩნდა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული, ცნობილი რუსი საბავშვო მწერლის მიხეილ ილინის წიგნი „ზაქარია ზაგადკინის მოგონებანი და არაჩვეულებრივი მოგზაურობანი“.

ამ მოთხრობის გმირს ზაქარია ზაგადკინს უცნობი მიწები არ აღმოუჩენია, არც უცნობ ზღვაში ყოფილა, მაგრამ, თავისი მოუსვენარი ხასიათის წყალობით, მას ბევრი უცნაური თავგადასავალი გადახდა.

ეს წიგნი განსაკუთრებით იმათ გაიტაცებს, ვისაც უყვარს „მეცნიერებათა შორის ყველაზე შესანიშნავი მეცნიერება“, როგორც ამას ამბობს ზაქარია ზაგადკინი, — გეოგრაფია.

გამომცემლობა „ცოდნამ“ გამოსცა პოლონელი მწერლის ი. კორჩაკის წიგნი: „როცა კვლავ პატარა გავხდები“.

თავის წიგნებში კორჩაკი გამოდის ბავშვთა თავისუფლებისა და ინტერესების მხურვალე დამცველად, ამხელს სიყალბესა და უსამართლობას, რომელიც გარს აკრავს ბავშვებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

კრებულში მოთავსებულია მოთხრობა „დიდება“, რომელშიც ნაამბობია ღარიბი ოჯახის ცხოვრებაზე ძველ პოლონეთში.

ამ კრებულს დიდი ინტერესით წაიკითხავთ.








# სარჩევი


**გ. მესხიშვილი**—ზაზა სიტყვის კაცია (ნარკვევი) . . . 1
**გ. შიშინაძე** — არაჩვეულებრივი ნახევარლიტრიანის თავგადასავალი (მოთხრობა) . . . . . 4
ოქროს საწმისი . . . 10
**დ. მაქსიმოვიჩი** — ჩემი მიწაწყალი; სამშობლოს გახსენება (ლექსები. თარგმნა — მ. კახიძემ) . . . 11
**ნ. ნათაძე** — რუსთაველი-მხატვარი (წერილი. დასასრული) . . . . . 12
**ალ. დიდებაშვილი** — მორაკრაკებს ნაკადული (ლექსი) . . . . . . 15
**პ. ხუმუა** — გიყვარდეთ მუსიკა (წერილი) . . . . 16
**მიხ. კორშუნოვი**—პეტკა და მისი ცხოვრება (მოთხრობა. თარგმნა ვ. ხარჩილავამ) . . . . . . . 19
**შ. გოგატიშვილი** — დევდორაკის ზვავი; ყვავილების სახელები — გეოგრაფიულ სახელებად. (წერილი) . . . . . . . 21
**ფ. ბერიძე** — მოყვარეს პირში უძრახე (წერილი) . . 22
სახალისო ქიმია . . 24
იუმორი . . . . . 24
**ნ. ვერნერ-მოოკი** — სელაპის ზაფხული (ნამდვილი ამბავი. თარგმნა თ. ცაგარელმა) . . . . . . 27
კითხვა-პასუხი . . . 28
გამოცანები . . . 28
ბუნების კარი . . . 29
ჩვენი სალონი . . . 30
ჯადოსნური სარკე . 31
ახალი წიგნები . . 32
თამაშობები... გარეკ. 3
თავშესაქცევი... გარეკ. 3


გარეკანის პირველ გვერდზე — „მოგესალმებით, სოფელო!“ მხატვარი ედუარდ ამბოკაძე.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის – 5-07-43
განყოფილებების 5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова 91
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03167 ტირ. 38.080. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$. ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 22 VII-66 წ. სტამბის შეკვ. 2398. გამომც. შეკვ. 430. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ ებრუნდებათ

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



## ისარი და აზრი

მალაიელი ბავშვები ამ საჰაერო ბურთს თვითონ აკეთებენ. თქვენ კი შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვეულებრივი საჰაერო ბურთები. ხოლო მშვილდისარი თვითონ გააკეთეთ.

ამ თავისებურ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია ორმოცდაათამდე ბავშვს.

მოთამაშენი ერთად შეჯგუფდებიან, მშვილდისრებს მოიმარჯვებენ და ელიან მსაჯის ნიშანს. აი, თამაშის წამყვანი იძლევა შეკითხვას და ამასთან ერთდროულად ხელიდან უშვებს საჰაერო ბურთს. შეკითხვა შეიძლება იყოს სრულიად მოულოდნელი: მაგალითად ამა და ამ ქვეყნის დედაქალაქი, სახელგანთქმული კომპოზიტორი, „ომი და მშვიდობა“-ს ავტორი, სამ-ოთხ ნიშნა ციფრების ზეპირი გამრავლება, შეკრება ან გამოკლება, ერთი სიტყვით ყოველგვარი კითხვის დასმა დასაშვებია.

თქვენ უმიზნებთ გაფრენილ ბურთს და თან ფიქრობთ შეკითხვის პასუხზე. ისრის გასროლის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც კითხვაზე სწორ პასუხს გასცემს. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელმაც სწორი პასუხიც გასცა და ბურთიც ჩამოაგდო. ცხადია, ჯილდოსაც ის იმსახურებს.

## ვინ არის ისარივით სწრაფი?

ხომ დაგვეთანხმებით, რომ არც თუ ისე ადვილია შენიშნო სად დავარდა მარჯვედ ნატყორცნი ისარი.

სიმარჯვე, თვალზომა, დაკვირვებულობა, სისწრაფე, — აი რას თხოულობს გვინეელი ბავშვების ნაციონალური თამაში, რომელსაც „ისარივით სწრაფი“ ეწოდება.

გინდათ ისწავლოთ ეს თამაში? აბა, ყურადღებით მოისმინეთ.

აილეთ ორი ტოტი და მშვილდივით მოღუნეთ, ლარად შეგიძლიათ სათევზაო ანკესის ძუა გამოიყენოთ. გააკეთეთ ნახევარი მეტრის სიგრძის ორი ერთნაირი ისარი, შეღებეთ სხვადასხვაფრად, მაგალითად ერთი შეღებეთ წითლად, მეორე ლურჯად. გაიყავით ორ გუნდად — წითლებად და ლურჯებად. ორივე გუნდიდან აირჩიეთ მოისარი და მორბენლები.

თამაში სჯობს გაშლილ მინდორზე, ტყის პირას, სტადიონზე ან სოფლის გასადევარზე. სათამაშო მოედნის კიდეზე გაავლეთ 8-10 მეტრის სიგრძის ხაზი. ამ ხაზის ორივე ბოლოში დგებიან მოისარები, მათ გვერდით მორბენლები. ამასთან არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ წითელი მოისარის გვერდით დგანან ლურჯი მორბენლები, ხოლო ლურჯი მოისარის გვერდით წითელი მორბენლები. მოისარის მიზანია სტყორცნოს ისარი რაც შეიძლება შორს. მსაჯის ნიშანზე მოისარები სტყორცნიან ისრებს, მორბენლები კი ადგილს მოწყდებიან... მორბენალის ამოცანაა — რაც შეიძლება სწრაფად მოიტანოს უკან მოწინააღმდეგის ისარი. იმარჯვებს ის გუნდი, რომლის მორბენლებიც უფრო ხშირად დაბრუნდებიან გამარჯვებულნი.





### კროსვორდი

პასუხი

1. იასამანი; 2. დუმფარა; 3. მატიტელა; 4. მიხაკი; 5. ია; 6. პიონი; 7. სოსანი; 8. ყაყაჩო; 9. ზამბახი; 10. ნარგიზი; 11. შროშანი; 12. გვირილა; 13. ჟაბო; 14. იელი; 15. ღიღილო; 16. ვარდი; 17. სვია; 18 ენძელა; 19. გიორგინი.

ყვავილთა ამ სახელების ვერტიკალურ უჯრედებში ჩასმის შემდეგ, რგოლებით გამოყოფილ ჰორიზონტალურ უჯრედებში წაიკითხება — სულხან-საბა ორბელიანი.

### ამოცანა

ავტოქარხანამ გამოუშვა მანქანა, რომლის რიგით ნომერს თუ გამოვაკლებთ ორს, — გაიყოფა ექვსზე; ხოლო თუ ორს მივუმატებთ, გაიყოფა ორზე. თუ გამოვაკლებთ ხუთს, — გაიყოფა სამზე; ხოლო თუ ხუთს მივუმატებთ, — გაიყოფა ხუთზე.

რა ნომერია მანქანა?

ი. ონაშვილი.

ჩვენი სალონი

# ალექსანდრე ციმაკურიძე



ხე. ეტიუდი, 1952 წ.



სახლი ხეობაში. 1930 წ.



ძველი თბილისი. ბანიანი სახლი. 1927 წ.

ИНДЕКС 76157